

გურამ დევდარიანმა უკვლავების გზა გაიკაფა

ფიზიკა-მათემატიკური სკოლის სიცოცხლე წარმატებით ბრძელდება

დიდი დირექტორის ან საზოგადო მოღვაწის სახელს სკოლას შემთხვევით არ ანიჭებენ. მაგალითად, ჩვენ ვიცნობთ აკაკი კვიციანიძის მე-8 სკოლას, ნოდარ ახალკაცის - მეცხრეს, გრიგოლ კობახიძის - 77-ეს და ასე შემდეგ.

ვინ არ იცნობდა კლასიკური გიმნაზიის სახელოვან დირექტორს ლიანა შენირულს. გვარიც უწყობდა ხელს. და მან მთელი ცხოვრება განათლების სისტემის აღორძინებას შეწირა.

ასეთი იყო **ოთარ თეთვაძე**, დღევანდელი 32-ე სკოლის დიდებული დირექტორი, რომელმაც სასწავლო-აღმზრდებლობითი პროცესის აყვავებასთან ერთად სკოლა ბალნარს დაამსგავსა. ეს ხომ ისტორიაა. მოვუწოდებ მთავრობას, განათლების სამინისტროს, ოფიციალურად მიენიჭოს **ოთარ თეთვაძის** სახელი ამ სკოლას.

ამ მოღვაწეთა თანავარსკვლავედში ბრწყინავს უკვდავი, ლეგენდარული პედაგოგი **გურამ დევდარიანი**, პედაგოგიური ოჯახის მამამთავარი.

სამეუხაროდ, დღეს, დღეს კი არა, კარგა ხანია ასეთი ამაგდარი მოღვაწეები მთავრობის მიერ სათანადოდ არ

არიან დაფასებული. **გურამ დევდარიანის** საქმე წარმატებით გააგრძელა მეუღლემ, **გულიკო მექვაბიძემ**. მას მხარს უმშვენიერებენ მოადგილეები: **რუსუდან პატაშური** და **ნათელა მურადაშვილი**, საერთო საქმეში დიდი წვლილი შეაქვთ: საქმის მწარმოებელს **მაკა ქავინაძეს**, ბუღალტერ **იზა ხუციშვილს**, ბიბლიოთეკარ **სვეტლანა კონჯარას**.

გურამ დევდარიანის მოღვაწეობის გზა

გურამ დევდარიანი 1970-72 წლებში მუშაობდა თბილისის 148-ე საჯარო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად, 1973-75 წლებში - 160-ე საჯარო სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ, 1976-77 წლებში მე-7 სკოლის დირექტორად, 1978-1980 წლებში 141-ე საჯარო სკოლის დირექტორია, 1981-82 სასწავლო წელს საქართველოს განათლების სამინისტროს ინსპექტორი, 1982 წლიდან გადაყვანილ იქნა თბილისის ფიზიკა-მათემატიკური 42-ე საჯარო სკოლის დირექტორია. 2007 წლის ჩათვლით ხელმძღვანელობდა აღნიშნულ სკოლას, რომელსაც მისი ინიციატივითა და ძალისხმევით



გურამ დევდარიანი

მიენიჭა აკადემიკოს **ილია ვეკუას** სახელი. მისი დირექტორობის პერიოდში გაუქმდა სკოლის 1 საფეხური და კონტინგენტი განისაზღვრა VII-XII კლასის მოსწავლეებით.

ლეთა ცოდნის მიღებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში გამარჯვებულ მოსწავლეთა რაოდენობის თვალსაზრისით (კერძოდ, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები ჩინეთში, ჰოლანდიასა და სხვა ქვეყნებში ჩატარებულ ოლიმპიადებში).

არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი პიროვნული დამოკიდებულება საგნის მასწავლებელთა ავტორიტეტისა და სტიმულირებისადმი-არასოდეს ის არ ახლდა საზღვარგარეთ გამგზავრებულ მოსწავლეთა გუნდს და ხელმძღვანელად საგნის პედაგოგს ნიშნავდა.

მისთვის სკოლის უმთავრესი ღირებულებები იყო: დისციპლინა, ჯანსაღი ურთიერთობები და პროფესიონალიზმი. სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობისას მიღებული გამოცდილების შერწყმამ, უდავოდ საუკეთესო ლიდერად ჩამოაყალიბა. ასეთად გვახსოვს და გვემახსოვრება იგი.

ჭრადიწიები გრძელდება

2007 წლის სექტემბერში თავისი სურვილით მიიღო გადაწყვეტილება, დაეტოვებინა საჯარო სკოლა და იმავე



მათი შურჩევა ხდებოდა გამოცდების წესით, რაც მიზნად ისახავდა განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების მოზიდვასა და ჩარიცხვას. (კონტინგენტის შევსება მისი თვითმიზანი არ იყო). რადგან ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა დიდი იყო, მიზანშეწონილად ჩათვალა ე.წ. „**საშაბათო სკოლის**“ ფუნქციონირება. პერსონალურად ეს ბატონი გურამის **პროექტი დღემდე მოქმედია და ის სხვა სკოლებშიც დანერგეს**.

მისი დირექტორობის პერიოდში იყო „**ოქროს ხანა**“ მოსწავ-

ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის თბილისის N42 საჯარო სკოლის შენობა როცა სიძველისა და მინისძერის შედეგად დაზიანდა, მან მოძებნა სპონსორი და დასანგრევად გამიზნული სკოლის ნაგებობა სეისმოლოგების ჩართვით გაამაგრებინა საქართველოში გერმანიის საელჩოს და დღემდე გრძელდება სასწავლო პროცესი.

გარდა ორგანიზატორული ნიჭისა, თავად იყო კარგი მათემატიკოსი, მენეჯერი, რომელიც თანამშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ყოველთვის ზრუნავდა.

პროფილით დააფუძნა **გურამ დევდარიანის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლა**, რომელსაც მისი გარდაცვალების შემდეგ ღირსეულად ხელმძღვანელობს მეუღლე - **გულიკო მექვაბიძე-დევდარიანი**.

გულიკო მექვაბიძე-დევდარიანს განათლების სფეროში მეთოდური თვალსაზრისით დიდი გამოცდილება აქვს. წლების მანძილზე ის ხელმძღვანელობდა გლდანის რაიონის მეთოდური უზრუნველყოფის ცენტრს, შემდეგ იყო გლდანი-ნაძალადევის რაიონ-



მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

გავრცელება მე-2 გვ

ფიზიკა-მათემატიკური სკოლის სიცოცხლე წარმატებით ბრძელდება

პირველი გვერდიდან

ნის განათლების კოორდინატორი, ასევე თბილისის 175-ე საჯარო სკოლის დირექტორი. მას ყველა პოზიციაზე მუშაობისას განათლების ზემდგომი ორგანოებისგან მიღებული აქვს მაღალი შეფასებები. თავის მდიდარ გამოცდილებას, განსაკუთრებით საგანში (ინგლისური ენა), უზიარებს კოლეგებს და შედეგიც აქვს. დედარაინების ოჯახი გამოირჩეოდა პედაგოგთა სიმრავლით (ბატონი გურამის ორივე და და მამიდა). ამ ტრადიციას, ვფიქრობთ, შესანიშნავი გაგრძელება ექნება მისი შვილიშვილის, **სოფო დედარაინის**, სახით, რომლის

საბამისად, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს გაძლიერებული ფიზიკისა და მათემატიკის გაკვეთილებს. ეს კი მოსწავლეებს უვითარებს სხვადასხვა უნარ-ჩვევასა და უყალიბებს ღირებულებებს, რაც ხელს უწყობს სკოლის მისიიდან გამომდინარე მიზნების მიღწევას. სკოლა განთავსებულია ქალაქ თბილისში, ჩარგლის ქუჩა N 79-ში, ორსართულიან შენობა-ნაგებობაში დამოუკიდებელი შესასვლელით. სკოლის შენობაში განთავსებულია 12 მზიანი და ნათელი საკლასო ოთახი, რომლებიც შეესაბამება სტანდარტის ნორმებს. კლასებში დგას ინდივიდუალური მერხები და სკამები, აღ-

ქნოლოგიებს. ინტერნეტში ჩართულია კომპიუტერები, რომლებიც განთავსებულია კომპიუტერების კლასში. სკოლაში დაცულია პერსონალისა, მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმს წარმოადგენს დამონტაჟებული ვიდეოკამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. დანერგულია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი.

პედაგოგიური კადრები

სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის



ტაბატაძე, საბუნებისმეტყველო და ზუსტ მეცნიერებათა (ხელმძღვანელი - **ვიგენტი ფარქოსაძე**), უცხოური ენების (ხელმძღვანელი - **თეა გოცირიძე**), დანერგული კლასებისა, ესთეტიკისა და სპორტის (ხელმძღვანელი - **სოფო სვიანაძე**). კათედრებს ევალებათ სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლების, კლასგარეშე და სკოლისგარეშე საქმიანობის მართვა.

დაავადებები (მასწავლებელი - **ნათია ზუკალავა**), ისტორიისა და ქართულში - **„საქართველოს კუთხეები“** (პედაგოგები - **ნათელა ტაბატაძე** და **ლალი მარლიშვილი**), ჩატარდა სალამო - **„ზოგი რამ ვაჟას ცხოვრებიდან და შემოქმედებიდან“** (სკოლის ბიბლიოთეკარი - **სვეტლანა კონჯარია**), კონფერენცია მათემატიკაში თემაზე: **„ქართული და ბერძენი მათემატიკოსები“** (მასწავლებლები - **ვიგენტი ფარქოსაძე, ნანა კუბლაშვილი**)...



დედა და ორივე ბებია პედაგოგები არიან. იგი ამჟამად თსუის მე-3 კურსის სტუდენტია და დიდ ინტერესს იჩენს სკოლის საქმიანობისადმი.

ჭურვილია სასკოლო დაფებით, საგნებისათვის საჭირო თვალსაჩინოებებით. სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით.

პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები, კერძოდ, სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომელთა პროფესიული გადამზადების ხელშეწყობას, შესაბამის ტრენინგებში მონაწილეობას. სკოლა დაკომპლექტებულია გამოცდილი პედაგოგებით. სწავლების **ხარისხი მაღალია, ხალისიანია** სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, რადგან პედაგოგები რეფორმის შესაბამისად ახლებურად იღვნიან, ტარდება დამატებითი მეცადინეობები, ინდივიდუალური მუშაობა, ინტენსიური ხასიათი აქვს ექსკურსიებსა და სხვადასხვა მიზნობრივ ღონისძიებას.

საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმებში გათვალისწინებულია სასწავლო წლის განმავლობაში სწავლა/სწავლების შედეგების მონიტორინგი და შეფასება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შესაძლებლობების შესწავლას, მათი ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენასა და განვითარებას. სკოლაში სისტემატურად ტარდება **ღია და ინტეგრირებული** გაკვეთილები, სხვადასხვა სააღმზრდელო და შემეცნებითი ღონისძიება: ქიმიამი ბავშვებმა იმუშავეს პროექტზე: **„რადიქტიული ნივთიერებები და ენტგენოსტრუქტურული ანალიზი“** (მასწავლებელი - **ნათია მგალობლიშვილი**), ბიოლოგიაში - **„გენეტიკური**

სკოლის მიღწევები გამოიხატება იმაში, რომ წლების მანძილზე კურსდამთავრებულთა შორის არაერთი ოქროსა და ვერცხლის მედალოსანია. ბოლოს სტატიას ასე დავათავრებ: **„ჩვენი გურამის სახელი ისტორიას დარჩება“** (ტერენტი გრანელი) და, რაც თავარია, დიადი შოთა: **„არდავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა“**.

ინფრასტრუქტურის შესახებ

გურამ დედარაინის საავტორო ფიზიკა-მათემატიკური სკოლა სწავლებას ახორციელებს სამივე საფეხურზე (დანწყებითი, საბაზო, საშუალო). სკოლა სავსებით აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს, რაც ნათლად დადასტურდა სკოლის მორიგი ავტორიზაციისას 2022 წლის ივლისში. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგნის სწავლების პარალელურად, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით, საფეხურის შე-

სკოლა ფლობს სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტე-

სკოლაში ფუნქციონირებს ოთხი საგნობრივი კათედრა, რომლებსაც ხელმძღვანელებენ გამოცდილი პედაგოგები: სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა (ხელმძღვანელი - **ნათელა**



რუსუდან პატაშური, ლია კბილაშვილი, ზორის მიჰველაძე, პედაგოგიკის დოქტორი, საქ. დამს. ჟურნალისტი

უფლის რწმენით პროვინულად ზრდის



ჭეშმარიტი რწმენა და ეროვნულობა განუყოფელია! სადაც რწმენაა, იქ აუცილებლად არის ეროვნულობა და სადაც ეროვნულობაა, იქ ასევე აუცილებლად იგულისხმება რწმენა.

ასე რომ არ იყოს, როგორღა გვეყოლებოდა ასე ათასობით რწმენასა და ეროვნულობას — სამშობლოსათვის თავშენიერი წამებულები?!

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზია, ვისი დამფუძნებელიც თავად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II გახლავთ, სწორედ ასეთი სულისკვეთებით — რწმენითა და ეროვნულად ზრდის ყმანვილებს. მით უფრო, რომ სასწავლებლის რექტორი, დეკანოზი მირიან სამხარაძე სწორედ ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობიდან არის მოსული განათლების სისტემაში და რწმენისა და ეროვნულობის განუყოფლობა მისი მრწამსია. მან შემოიკრიბა მსგავსი ინტერესების მქონე კვალიფიციური გუნდი და ღვთისა და ერის საქმეს უანგაროდ აკეთებენ.

ზრდიან ყმანვილებს. პროფესორები: სერგო ვარდოსანიძე - „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია“; როზეტა გუჯეჯიანი - „ქართული ხალხური დღესასწაულები“; ელდარ ბუბულაშვილი - „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი და ქართული



ეკლესია“; ტარიელ ფუტყარაძე (გარდაიცვალა) - „ქართული ენის ისტორიული გზა და დღევანდლობა“; ზაზა აბაშიძე - „საქართველოს ეკლესიის იერარქია და ავტოკეფალია“; ვახტანგ გურული - „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა“; სოსო სიგუა - „კონსტანტინე გამსახურდია და ქართული ეროვნულ-გამათ-

რა სამხარაძე - „ანთიმოზ ივერიელის ცხოვრება და მოღვაწეობა“; დეკანოზები: გიორგი თევდორაშვილი - „სიყვარული ღვთისა და მოყვასისა“; ალექსანდრე გალდავა — რელიგია და თანამედროვეობა“; დავით ციციქიშვილი - „ნარკომანია — ცოდვა თუ დაავადება?“ შეხვედრა გურამ პეტრიაშვილთან.

გიმნაზია ყველგანაა, სადაც ქართული ეროვნული ძარღვი ფეთქავს: 9 აპრილს ამ ავადმოსაგონარ დღეს დაღუპულთა ხსოვნას მიაგებენ პატივს მემორიალთან; 24 თებერვალს იუნკერთა მემორიალთან იკრიბებიან; 3 მარტს ზვიად გამსახურდიას ხსოვნას ესათუთებიან; 13 ოქტომბერს მერაბ კოსტავას მემორიალ-

თან მიაგებენ პატივს მის ხსოვნას; ასე ათასი მოწამის ხსენების დღეს - მსვლელობა მეტეხის ხიდისკენ და კონცერტი; 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა, „დიდგორობა“ დიდგორის ველზე და მრავალი სხვა.

გიმნაზიაში ლოცვით იწყება ახალი დღე; ყოველ ოთხშაბათსა და პარასკევს მამა მირიანი ატარებს პარაკლის, სშირია დღესასწაულებზე საყოველთაო ზიარება მოსწავლეებისათვის; დამატებით ისწავლება ძველი ქართული ენა და რელიგიების ისტორია.

აი, ასეთი ჯანსაღი ეროვნული სული ტრიალებს, ასეთი რწმენითა და მრწამსით ზრდიან ყმანვილებს წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიაში.

ცხადია, ასეთი დამკვიდრებული ზნეობრივი ტრადიციები მოსწავლეთა აკადემიური წარმატების მტკიცე საძირკველი და საწინდარია, რადგანაც ასეთი სულისკვეთება თავისთავად უღრმავებს ყმანვილებს შეგნებას: ქვეყანას, სამშობლოს უნდა გამოვადგე. ამიტომ უნდა ვისწავლო, რაც მეტი მეცოდინება, მით



უფრო მეტს შევძლებ ერისა და ქვეყნისათვის.

მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ოლომპიადებსა და კერძო სტრუქტურების კონკურსებში. ამის დასტურია გიმნაზიის ფოიეში გამოფენილი უამრავი დიპლომი და სიგელი.

გიმნაზია 2009 წელს დაარსდა, 2020 წელს კი სამ დამოუკიდებელ ორგანიზაციად გაიყო: გიმნაზია, ხელოვნების სკოლა-პანსიონი და კოლეჯი. გიმნაზიაში 300-ზე მეტი მოსწავლეა, მათგან ხელოვნების სკოლა-პანსიონის მომსახურებით სარგებლობს 250-მდე მოსწავლე, სადაც უპირატესობით და შეღავათიანი საფასურით სარგებლობენ გიმნაზიის მოსწავლეები (ისწავლება: ვიოლინო, ფორტეპიანო, გიტარა, ჩელო; მოქმედებს თეატრალური, ფერწერის სტუდიები, გოგონათა აკადემიური და ფოლკლორული ანსამბლები, ვაჟთა

ვილი); ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის (თათია ირემაშვილი).

სტანისლავსკის თქმით, თეატრი საგარდერობოდან იწყება. სკოლა თუ გიმნაზია კი პედაგოგით იწყება და პედაგოგითვე მთავრდება. გიმნაზიის 35-ეე მასწავლებელს, რომელთაგანაც ორი — მაყვალა ანთაძე და ეკატერინე ზაზაშვილი — წამყვანი, ხოლო სხვა ყველა: სალომე ავალიშვილი, ციცირო ანთაძე, იოსებ ავაქიძე, თინათინ ბლიაძე, ქეთევან გაგოშიძე, ზურაბ გოგოლაძე, მადონა ვარდოშვილი, თათია ირემაშვილი, ნათელა კაპანაძე, მზიური კოჩალიძე, თეონა მოდებაძე, ქეთევან მოსულიშვილი, თორნიკე ნამორაძე, მაია ნამორაძე, მზალო ნოზაძე, ბელა ოქრიაშვილი, შორენა ოქრიაშვილი, ნათია პაპინაშვილი, დავით უნგაძე, თეა ქვრივიშვილი, ლია შარიქაძე, ინგა ჩადუნელი, თეა ხარაზიშვილი, თამთა ხარატიშვილი, ეკა ხეჩუაშვილი, ლელა ხომასურიძე, მაია ხორბალა-



გუნდი და ქორეგრაფიული ანსამბლი, ქართული ორთაბრძოლა ხრიდოლის წრე).

რა გინდა რა პროფილისა თუ ტიპის სასწავლო დაწესებულება რთული ორგანიზაცია და მისი წარმატება ყოველი რგოლის შეთანხმებული, მიზანმიმართული ერთობლივი შრომის ნაყოფია და ეს ერთიანი კოლექტივი თავს „ერთობას“ უწოდებს.

სწორედ ასე შეთანხმებულად, მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად მუშაობს გიმნაზიის ყოველი კათედრა და ეს მუშაობა მთლიანად მოიცავს გიმნაზიას: დაწყებითი სწავლებისა (ხელმძღვანელი — ქეთევან მოსულიშვილი); ქართული ენისა და ლიტერატურისა (თეონა მოდებაძე); მათემატიკისა (შორენა ოქრიაშვილი); უცხო ენებისა (ინგა ჩადუნელი); საზოგადოებრივ მეცნიერებათა (თეა ხარაზიშვილი); საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (თეა ქვრივიშ-

ძე, ლელა ჯანაშვილი, მარიამ ბერიძე, ლელა ჩხაიძე, ელენე ქსოვრელი, ივერ მერკვილაძე უფროსი მასწავლებლები არიან და ყოველ მათგანს გასიგრძეგანებული აქვს საპატიო და ერთობ საპასუხისმგებლო მისია — სამშობლოსათვის მცოდნე, ზნეკეთილი მომავლის აღზრდა.

პაგანი იმიტომაც გახლდათ ვირტუოზი შემსრულებელი, რომ ხელთ სტრადივარიუსის ვიოლინო ეყრა. ანუ, რაგინდ მცოდნე და მონდომებული იყო, თუ შრომის სათანადო პირობები არ გექნა, მუშაობის მარტივ ქმედების კოეფიციენტი მოსალოდნელზე დაბალი იქნება. ამიტომ გიმნაზიის რექტორი, დეკანოზი მირიან სამხარაძე, სასწავლებლის ადმინისტრაცია: საზოგადოებასთან ურთიერთობის, სასწავლო პროცესების,




გიმნაზიაში მონვეულ პროფესორ-მასწავლებლების წაკითხული ლექციებისა თუ შეხვედრების თემატიკაც ურყევად ადასტურებს, თუ როგორი სული ტრიალებს გიმნაზიაში, როგორი მრწამსით

ავისუფლებული მოძრაობა“; ჯაბა სამუშია - „თამარ მეფის საფლავი“; აკადემიკოსი როინ მეტრეველი - „განვითარებული შუა საუკუნეების კულტურა საქართველოში“; პოეტი და საზოგადო მოღვაწე ზაი-



მოგაკვალს ყოველდღიურად პუყრით საფუძველს



რომელიც აუცილებელი რგოლია განათლებასა და შრომის ბაზარს შორის.

ამიტომაც ჩვენი სკოლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა არაფორმალური სივრცის შექმნაა.

რას ვაკეთებთ საამისოდ?

სკოლაში მოქმედებს კლუბები: „პატარა მკითხველთა“ (ხელმძღვანელი – მადონა ლაშხია), „94-ე სკოლა და მშობლები“ (მადონა ლაშხია), „ნიგნი ჟური“ (ნარგიზ ქილიფთარი), ენის სინმდის დაცვისა – „ლაზარე“ (მაკა დანელია), სამოქალაქო განათლებისა – „მადიებელი“ (ლელა შევლიძე), ციფრული სამყარო (ნარგიზ ქილიფთარი), დებატებისა (ლელა ტალახაძე), მათემატიკისა – „უსასრულობა“ (ინგა სტვილია).

რამდენიმე მათგანის მიერ ჩატარებულ აქტივობებზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას.


დრომ მოიტანა და მასწავლებელი, მოსწავლე და მშობელი თანხმდება, რომ მოსწავლისათვის, ფორმალურ განათლებასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეს კარიერულ წინსვლასა და ინტერესების უკეთ წარმოჩენას.

მოგეხსენებათ, არაფორმალური განათლება მთლიანად ინდივიდის მოთხოვნებზეა აგებული და მოსწავლეს შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის საშუალებას აძლევს, ეხმარება კარიერის დაგეგმვაში; მნიშვნელოვანია მისი როლი პროფესიულ განათლებაში,

სამოქალაქო კლუბმა „მადიებელი“ (ლელა შევლიძე, სპიკერი ბაიკო ქარდავა - მე-10 კლასის მოსწავლე) 25 ნოემბერს სკოლის მასშტაბით ჩაატარა პერფორმანსი, რომელიც ფემციდის წინააღმდეგ ბრძოლას მიუძღვნა; ხოლო 6 თებერვალს კიბერუსაფრთხოებისადმი მიძღვნილი აქტივობები ვინილეთ: ელექტრონული პოსტერები, პლაკატები და ბანერები საჭირო ინფორმაციით განთავსდა სკოლის სივრცეებში; ასევე, კიბერუსაფრთხოების შესახებ აუცილებელი ინფორმაცია გადაიცა რადიოქსელში.

საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღეს მოყვარულთა კლუბმა „ნიგნიჟური“ და კლუბმა „ლაზარე“ სკოლის თავისუფალ სივრცეში გამართეს შეხვედრა პოეტ ქალბატონებთან: ნინო უძილაურთან და მზია ელიაძესთან. სტუმრებმა საკუთარი ლექსები წაკითხეს, უპასუხეს მოსწავლეთა შეკითხვებს და მომავალ პოეტებსა და მწერლებს საუკეთესო რჩევები გაუზიარეს.

კლუბი „ციფრული სამყარო“ (ნარგიზ ქილიფთარი) უკვე მეორე წელია მოქმედებს და მოსწავლეებისათვის შემოქმედებითი და კოგნიტიური საქმიანობის თავისუფალ სივრცეს ქმნის, ახორციელებს



სასკოლო პროგრამების მხარდაჭერას, აყალიბებს ციფრულ საგანმანათლებლო ბაზას, მონაწილეობს საერთაშორისო პროექტებში, რაც ზრდის მოსწავლეთა მოტივაციასა და ჩართულობას. კლუბის წევრები აქტიურად იყენებენ Microsoft da Web 2 ციფრულ ინსტრუმენტებს. კლუბს აქვს წესდება, სამოქმედო გეგმა და სამუშაო სივრცე - ჯეოსელის ოთახი, სადაც ყველა მსურველს შეუძლია წვდომა ინტერნეტთან და ტექნოლოგიებთან. სკოლის 8-ე კლუბი ჩვენი მოსწავლეების ინდივიდუალური, ესთეტიკური და შემოქმედებითი მიდრეკილებების გამოვლინებას ემსახურება, რაც ყმანვილებს ანალიტიკურ-კრიტიკულ აზროვნებას, გადაწყვეტილების მიღების, პრობლემების გადაჭრის, სისტემური აზროვნების, სოციალურ და თანამშრომლობით უნარებს უწყობს.

ჩვენს ქვეყანას კი, მოგეხსენებათ, სწორედ ასეთი, XXI საუკუნისათვის საჭირო უნარებით აღჭურვილი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე თაობები ჩირდება.

ნინო ბახარია,
თბილისის 94-ე საჯარო სკოლის დირექტორი

რედაქციისაზარ: ზოგი საჯარო სკოლის დირექტორი არ თანამშრომლობს ჩვენს გაზეთთან. თითქოსდა, რას იზამ – კაცია და გუნებაო, მაგრამ თანამშრომლობა, სწავლა-აღზრდის პრობლემების, წარმატებებისა თუ ხარვეზების წარმოჩენა და გასაჯაროება რომ პიროვნულს ძალიან ცდება და საქვეყნო მასშტაბებს იძენს?! ყოველი მოსწავლე, ყოველი ბავშვი ხომ, საბოლოოდ, საქართველოს შვილია და თითოეულის ავ-კარგი სწორედ საქვეყნო ხდება.

ხომ კარგია, აუცილებელიც, კოლეგებს გაუზიარო წარმატებები და პრობლემები?

ამ მხრივ, მართლაც, გამოირჩევა თბილისის 94-ე საჯარო სკოლა, რომლის დირექტორს, ქალბატონ ნინო ბახარიას, ადმინისტრაციას, პედაგოგებს გასიგრძელებული აქვთ ასეთი თანამშრომლობის სიკეთე.

რედაქცია მადლობას უხდის მათ ასეთი გაგებისა და თანამშრომლობისათვის და ახალ-ახალ წარმატებებს უსურვებს თაობების აღზრდის რთულსა და საპატიოა გზაზე.

უფლის რწმენით პროვნულად ზრდიან

მესამე გვერდიდან

კლასგარეშე ღონისძიებების, ხარისხის მართვისა და საქმის

ჯიმშეარაძე, გიმნაზიის იურისტი და დაცვის სამსახურის უფროსი, ბატონი ლევან გორგაძე და მეთოდისტი მაყვალა ანთაძე, მიმარ-



წარმოების მენეჯერები, ქალბატონები — ნანა ანთაძე, მზიური კოჩალიძე, რუსუდან რევაზიშვილი, მარინა გოგოლაძე; ფინანსური, სამეურნეო მენეჯერები, ბატონები — ჯამბულ გოგოლაძე და ჯიმი

თულებას სპეციფიკის გათვალისწინებით, განუხრელად იღვნიან სწორედ ზემოხსენებული პირობების შესაქმნელად: ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო გარემო; პროფესიონალი პედაგოგები და

სპეციალისტთა გუნდი; კეთილგანწყობილი საკლასო ოთახები; კომპიუტერული კლასი უახლესი კომპიუტერული ტექნიკითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით; უახლესი ტექნიკით აღჭურვილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კაბინეტი და ლაბორატორია; ქართული ენისა და ლიტერატურისა და ინგლისური ენის კაბინეტი; კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა მდიდარი — 9000-იანი წიგნადი ფონდით და სამკითხველო დარბაზით; საკონფერენციო დარბაზი; სათანადოდ აღჭურვილი სპორტული დარბაზი, ლიტერატული კაფე და ბუფეტი; კლასში არაუმეტეს 16-20 შეგირდისა; სხვადასხვა წრე, კლუბი, სტუდია... ახლდება საკონფერენციო დარბაზი, შეკეთდა კვების ბლოკი და სატრაპეზო.



გეუფლება, ნათქვამზე მეტი სათქმელი დამრჩაო. ახლაც ასეა — წმიდა თამარ მეფის სახელობის გიმნაზიის მამულიშვილურ საქმიანობაზე გაცილებით მეტის თქმა შეიძლებოდა. თუნდაც იმისა, სწავლასთან ერთად, მოსწავლეები რამდენ სახალისო, ჭკუისასწავლ ღონისძიებაში მონაწილეობენ, რაოდენ სისხლსავსეა მათი მოსწავ-

ლეობა, მაგრამ საგაზეთო სივრცის შეზღუდულობის გამო, აქ უნდა შევჩერდე.

უმთავრესი კი, ვგონებ, გამოიკვეთა — ამ სასწავლო დაწესებულებაში ყმანვილებს უფლის რწმენით ეროვნულად ზრდიან!

კონსტანტინე გურბენიძე



ლონისძიება, როგორც ბაკვეთილზე მებრძოლი



იგი ბოლომდე ინარჩუნებს ემოციურ მუხტს. ერთი მიზნით გაერთიანდნენ: ნაირა ბერიაშვილი, V კლასის ხელმძღვანელი შორენა ქოჩიაშვილი, ბუნების პედაგოგი ნათია ძამუკაშვილი, მათ მხარში ამოუდგნენ სკოლის დირექტორი: ზურაბ ჩხაიძე, მოადგილე ლია ჯანიაშვილი, ფილოლოგები ხათუნა

მაჭავარიანი, ქეთინო ბოძაშვილი, ციციანო მოსახლიშვილი, ლელა ტყემალაძე, მაკა თაბაგარი, ხატვის პედაგოგი ნანა ყორიაშვილი, კომპიუტერული ტექნოლოგიები: მაია ყიფილაშვილი, მშობლები: შორენა ქოჩიაშვილი. სხვა გზა არ არის, უნდა ჩამოვთვალოთ პერსონაჟები: თეკლე ანთია, ანა ბურჯალიანი, ბარბარე გამგებელი, მაგდა დიასამიძე, მარი ვაშაკიძე, საბა ბერიაშვილი. ეს იყო „ვარდი“. ახლა „ენძელა“: ელენე ნადირაძე,



ჩაუტარებიათ ექსკურსიები დენდროლოგიურ პარკებში. ერთმანეთს უსვამდნენ კითხვებს და გონებამახვილურ პასუხებს ლებულობდნენ. ასე ევჯობებოდნენ ერთმანეთს: მართა კასრაძე, მარი ვაშაკიძე, გაია მიქელაშვილი, ნია ქოთავა. ისაუბრეს ტურისტულ მოძრაობაზე, მთელი საქართველოს ფლორასა და ფაუნაზე. ითქვა მიხეილ მურვანიშვილის ღვანლზე, ელენე ნადირაძის ლექსმა, რომელიც გამომეტყველებით ნაიკითხა, მსმენელს დიდი აღფრთოვანება მოუტანა. აი, ნაწყვეტი: „საქართველოს ბუნება, საოცარი განძია, მთებში ჯიხვი ბინადრობს, ტყეში მურა დათვია, ბალახზე რომ მიცოცავს, ეს ირემა ხოჭოა, მდინარეს რომ მიჰყვება, კალმახი და ღორჯოა, მთიდან მთებდა იშლება წყაროს წყალი კამკამა. ჩვენებური არნივი ცაში ხაზავს კამარას, მაგრამ მარტო შექება, არ უშველის ბუნებას“. ბოლო სტრიქონი ლექსის იდეის გასაღებად.

ლილი შევიტანოთ. კიდევ ბევრია სათქმელი ბოტანიკურ ბაღზე, ჩანჩქერების ჩქაფანზე, „ცაფირუზ-ხმელეთ ზურმუხტო“ სამშობლოზე, ვაჟაზე, ილიაზე...

გაია მიქელაშვილმა ვაჟა გაცოცხლა, საბა ბერიაშვილმა — კიკვიძის პარკი, უნიკალური ჯიშები ფლორისა. კიდევ და კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ამ მშრალი რეპორტაჟის უკან ჩვენი მომავალი თაობის გული ფეთქავს. წარმოადგინეს ნახატები ბუნებაზე. აი, რამდენი შეძლებიათ პატარებს. რამდენი რამ უსწავლიათ!

გარკვეულ ეტაპზე ამ ლონისძიებას მხარში ედგა კულტურისა და დასვენების პარკის მთავარი ბიოლოგი მურმან ფერაძე. ძალიან ძნელია ამ ლონისძიების ლაბირინთებში უშეცდომოდ იარო. მაგრამ, მთავარია, რომ ამ სანახაობამ მიზანს კაკალ გულში მიიღწია. მოკლედ მოვეჭრი: „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის“. დიდი მადლობა ამ საოცარი, ეფექტიანი სანახაობის ყველა მონაწილეს.

ზორის მიშველაძე,
საქ. დამს. ჟურნალისტი

სწავლება, მეთოდოლოგია კლასბარეშე მუშაობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია: ვრცელია მისი დიაპაზონი: აფართოებს შემეცნებით უნარებს, ფანტაზიას, ახალისებს სასწავლო პროცესებს. თავიდანვე ვიტყვი, წამყვანი მასწავლებელი 207-ე სკოლისა ნაირა ბერიაშვილი ამ საქმის დიდოსტატია. ამაში უთუოდ დამეთანხმებიან კოლეგები. მწერალ რეზო მიშველაძის მამა აქვსენტი მიშველაძე ერთ-ერთი წიგნი წერს: „ლიტერატურის მასწავლებელში პატარა მსახიობი უნდა იჯდეს. ამ მოთხოვნას ზედმიწევნით ასახელებს ნაირა ბერიაშვილი. სცენარისტიც თავად არის — რეჟისორიც. მოკლედ მოგიხრობთ ერთ-ერთი ასეთი ლონისძიების შესახებ. ზღვა მასალა მომიტანა. არ გინდა მისი დახვეწა, საერთო ქარგაში მოქცევა? დამეხმარა შოთას შეგონება: გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო, მაგრამ მოკლედ თქმაც არანაკლებ ძნელი რომ არის? ავირჩიე ჟურნალისტიკაში ნაცადი ჟანრი: რეპორტაჟი.



ზურა ოქუაშვილი, თორნიკე ოდიასიანი, გიორგი პატარკალაშვილი, თორნიკე რუხაძე, საბა სალიანი. „ია“: ილია სიყმაშვილი. 4 ჯგუფია: „ვარდი“, „ყოჩივარდი“, „ენძელა“, „ია“.

წამყვანები: თეკლე ანთია, ელენე ნადირაძე.

არის ჟრიაშვილი, შეჯიბრი ეკოლოგიის ცოდნაში. მზადების პროცესში ბევრი რამ ახალი შეისწავლეს, ეკოლოგიური ცოდნა გაიმდიდრეს.

წიგნის პრეზენტაცია

მშვენიერი ქალბატონი, როგორც თავად პოეზია



„გული ხელით დამქონდა“ - ასე ეწოდება პოეტ ბელა ალანიას ლექსების წიგნი, რომლის პრეზენტაცია მწერალთა სახლში გაიმართა და რომელსაც მწერლები, პოეტები და ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ქალბატონმა ბელამ, თავის შემოქმედების თაყვანისმცემლებს მართლაც, რომ დაუვიწყარი პოეზიის საღამო აჩუქა. პოეზიას სიმღერები ანაცვლებდა, რომელიც პოეტის ლექსებზე შეიქმნა და იმდენად ჰარმონიულად იყო ყველაფერი შერწყმული, რომ ხალხით სავსე დარბაზი სულგანაბული უსმენდა

და ოვაციები არ წყდებოდა. საღამოს უძღვებოდა თავად ავტორი და იოანე ქართველი. ლონისძიება მუსიკალურად გააფორმეს მაია სიჭინავამ, ელისო ლვინფაძემ, ცეკვისა და სიმღერის ხალხურმა ანსამბლმა „ნართანი“. მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა პოეტი დააჯილდოვა „მარკა ბართაშვილი“-ს პრემიით, ხოლო საზოგადოება პოეზიის და გაზეთ „სახალხო განათლების“ სახელით სამახსოვრო პრიზი გადასცა გერმანე საზანოელმა.

მაყვალა გონაშვილი: ძალიან ლამაზი და მრავალმხრივ მნიშვნელოვანი საღამო იყო, უპირველესად იმიტომ, რომ მართლაც გამორჩეული ქალბატონია და თავად პოეზია. ბელა ალანიას ლექსიც რომ არ დაენერა მაინც პოეზია იქნებოდა. მართლაც, რომ მშვენიერი ქალბატონია თავისი ემოციით, სევდით, სიკეთით და სიყვარულით. დღევანდელი საღამო და ასეთი ხალხთა სიმრავლე დასტურია იმისა, თუ როგორ დიდ პატივს სცემს ქართველი

ხალხი პოეზიას და მშვენიერებას. ქალბატონ ბელას ვულოცავ ახალი წიგნის „დაბადებას“ და ვუსურვებ მკითხველთა სიმრავლეს.

ქალბატონი ბელა არაერთი წიგნის ავტორია. მის პოეზიასა და პროზაულ ნაწარმოებებს კარგად იცნობენ სოციალური ქსელის საშუალებითაც, სადაც ათასობით გამომწერი ჰყავს და უამრავი მონონება აქვს. „გული ხელით დამქონდა“ არის ლირიკულ ლექსთა კრებული და როგორც წიგნის რედაქტორმა და ცნობილმა პოეტმა რაულ ჩილაჩავამ აღნიშნა: წიგნში შესულ თითოეულ ლექსს თავისი ფუნქცია აკისრია და მშვენიერად ასრულებს მას. კრებულში თავმოყრილია მთელი ქართული პოეზიის პოლიფონია, რითმი, ინტონაცია, რაც ამდიდრებს წიგნს. მისი პოეზია ერთგვარი საოჯახო ალბომია, საშინაო საკითხავია, რომლის ადრესატი საქმენი არ არის, გვერდითაა. ავტორის მონუსხული მზერა მხოლოდ ერთი პერსონაჟისკენ არის მიჯაჭვული. ყოველი ლექსიდან გამოსჭვივს

დარბაისლური ქალის ვნება, თამამი გულწრფელი და შეუნიღბავი...

ბელა ალანიას სატრფიალო ლირიკა თუ პატრიოტული ლექსები, ლალი და თავისუფალი წერის მანერა მკითხველს, უპირველეს ყოვლისა, გულწრფელობით და უშუალოდ იზიდავს. თითოეული სტრიქონი სიკეთითა და მშვენიერებით არის განმსჭვალული, ისევე როგორც თავად ავტორია. მის შემოქმედებაში სჭარბობს დადებითი განცდების სიუხვე რომელიც გადამდება და პოზიტიურ განწყობას გვიქმნის. „გიგზავნი

ლოცვას, როგორც სინათლეს, რომელიც ახლა ლოცვად ხმინობს“- ამბობს პოეტი და მკითხველს ეპატიჟება „საკუთარი სიყვარულის კუნძულზე გაშენებულ სურნელოვან ბაღში“.. ახალი კრებული „გული ხელით დამქონდა“ მკითხველს ბევრ სასიამოვნო წუთს მიანიჭებს.

ქალბატონ ბელას, შესანიშნავ მეუღლეს, დედას და ნიჭიერ პოეტს ვუსურვებთ არაერთ შემოქმედებით წარმატებებს.

ზენა გოგოძე



ეფექტიანად წარმართული პროცესი



სკოლამდელი განათლების სისტემაში ბავშვის პროცენტად ჩამოყალიბებისა და მისი განვითარებისათვის და სკოლაში წამსვლელი აღსაზრდელების მაქსიმალური წინასასკოლო მომზადებისათვის საჭირო გარემოს შესაქმნელად, თანმიმდევრობით შესრულდა დროში განერილი ეტაპები თბილისის 22-ე საბავშვო ბაგა-ბაღში (დირექტორი **ნინო გვრიტიშვილი**). კოლექტივმა შეძლო უმტივირებულად გაეცლოთ პანდემიის ურთულესი პერიოდი. რეგულაციების დაცვით, ურთიერთთანადგომითა და მშობელთა ჩართულობით, შეძლეს პატარებისათვის სახალისო და გასწავლებული აქტივობების შეთავაზება. ბაგა-ბაღის ეზოში დაემატა სტადიონი თავისი აღჭურვილობებით და მოანერგეს ერთმანეთსგან იზოლირებული სივრცეები. მედარებით პასიური პერიოდი

გამოიყენეს აღმზრდელებისა და თანამშენებლის პროფესიული განვითარებისათვის. თავისი სირთულეებითა და სიახლეებით, ახალი გამოწვევა იყო მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში გავლილი ტრენინგი „**ადრეული ინკლუზიური განათლება**“, რომელშიც მონაწილეობდნენ: მულტი ჯგუფი, სასწავლო პროგრამების კოორდინატორი **მარიამ მამულაშვილი**, სასწავლო პროგრამების კოორდინატორის თანამშენებელი **ია დვალისვილი**, დირექტორი, აღმზრდელები და აღმზრდელის თანამშენებელი, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **ია ბელთაძე**, ჯანმრთელობისა და ჰიგიენის კოორდინატორები – **ნათელა დარსაველიძე** და **ელენე არღვლიანი**, მზარეული **მაია ამირანაშვილი**. (გაიარეს ტრენინგი თემაზე „**სურსათის ჰიგიენის და საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) პრინციპებზე დაფუძნებული სისტემა**“).

ბაღში 12 ჯგუფია. სასკოლო მზაობის ჯგუფებში სწავლება მიმდინარეობს ბაგა-ბაღების სააგენტოს მიერ შემუშავებული პროგრამის მიხედვით. აღსაზრდელები საინტერესო შემოქმედებით აქტივობებში არიან ჩართულები, რასაც წარმატებით ახორციელებენ 5-6 წლიანთა ჯგუფების აღმზრდელები. **სასკოლო მზაობის ჯგუფები: „გენიოსები“** – აღმზრდელი **თამუნა სინატაშვილი**, აღმზრდელის თანამშენებელი **ლელი ტარტარაშვილი**; **„გვირილები“** – აღმზრდელი **გულიკო კვიციანი**, აღ-

მზრდელის თანამშენებელი: **ნონა ჯავახიძე** და **ნინო არჩვაძე**; **„დათუნები“** – აღმზრდელი **ირინა მისურაძე**, აღმზრდელის თანამშენებელი **თამუნა გვრიტიშვილი**; **„ციცინათელა“** – აღმზრდელი **შორენა ენუქიძე**, აღმზრდელის თანამშენებელი **ლარა ჭილაძე**. 1 თებერვალს ამ ჯგუფებში დიდი ხალისით ჩატარდა **„ნიგნის საჯარო კითხვის დღე“**.

შესაბამის ასაკობრივ სააღმზრდელი პროექტებში ჩართულები არიან – ბაგის ჯგუფები: **„გედები“** – აღმზრდელი **ნელი მეგრელიშვილი**, აღმზრდელის თანამშენებელი **ნინო შონია**; **„მერცხლები“** – აღმზრდელი **ნანული ძეგისაშვილი**, აღმზრდელის თანამშენებელი **მაკა მამაცაშვილი**;

3-4 წლიანები: **„ვარსკვლავები“** – აღმზრდელი **თეა ორჯონიკიძე**, აღმზრდელის თანამშენებელი **მაკა მგელაძე**; **„ფისოები“** – აღმზრდელი **ანა საბაძე**, აღმზრდელის თანამშენებელი **თეა მეტონიძე**; **„ბობორო“** – აღმზრდელი **თამარ სალუქვაძე**, აღმზრდელის თანამშენებელი **მარი კუცია**;

4-5 წლიანები: **„ჭიამაიები“** – აღმზრდელი **მზია ვაზაგაშვილი**, აღმზრდელის თანამშენებელი **ჯილდა ვახანი**; **„ბებები“** – აღმზრდელი **ნინო მისურაძე**, აღმზრდელის თანამშენებელი **სათუნა თოდუა**; **„პეპლები“** – აღმზრდელი **თინა სავაძე**,

აღმზრდელის თანამშენებელი: **ლალი ბუაძე** და **მანანა კურდღელაშვილი**; გამოცდილი მულტიდისციპლინარული ჯგუფი: ფსიქოლოგები **ეკა თხლაშიძე**, **ნათელა ავსაჯანიშვილი**; მეტყველების თერაპევტები – **ნანული გეგუჩაძე**, **მაია ჩაკვეტაძე-გოგოლაძე**; სპეც. პედაგოგები – **ქეთი აკოფაშვილი**, **თონა დანელია** – წარმატებით ახორციელებს ბავშვთა სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამის ასაკობრივ პროგრამებს. ფსიქოლოგები აღმზრდელთან ერთად აფასებენ ჯგუფის მდგომარეობას და შემდგომ მულტი ჯგუფი განიხილავს, თუ რომელი სპეციალისტის დახმარებას საჭიროებს აღსაზრდელი ან ჯგუფი, ადგენენ მოკლე და გრძელვადიან გეგმას, რომელსაც აცნობენ მშობელს და ინყებენ ერთობლივ მუშაობას.

ყველა ასაკობრივ ჯგუფში აქტივობებისა და ღონისძიებების მუსიკალური გაფორმება მუსიკისა და ცეკვის პედაგოგების: **ნათელა ჩაჩიბაძის**, **ქეთევან ხვედელიძის** და **ნათია ჭიბერაშვილის** დამსახურებაა.

მაქსიმალურად დაცული სისუფთავე, სანიტარული მდგომარეობა, კალორაჟის დაცვით დამზადებული უგემრიელესი კერძები –



მზარეულის **მაია ამირანაშვილის**, მზარეულის დამხმარებლის – **მერი კოკიას**, **ნანა მამაცაშვილის**, **ოლა ლუკაშვილის** და ტექნიკური პერსონალის: **თამარ სურამლიშვილი**, **ევეგინა მალხასიანი**, **ჯულიეტა ლობჯანიძე**, **მანანა სისარულიძე**, **მანანა ბერიანიძე**, **თინა თოდუა**, **ნანა არჩვაძე**, **ქეთო ნარმანია**, **ნინო კაკალაშვილი**, **მანანა ჯლანტიაშვილი**, **ეკატერინე ბარნაბიშვილი**, **ელენე ბურდული**, **ნანა ბოკუჩავა**, **ნათელა გელაშვილი**, **მალხაზ სურამლიშვილი** – დამსახურებაა.

პანდემიის შემდგომი სასწავლო წელი სიახლეებითა და ახალი გამოწვევებით დაიწყო. ჯგუფებში შემოდგომის გაცილების საინტერესო ღონისძიებები ჩატარდა. პატარებმა საქართველოს კუთხეები და ტრადიციები წარმოადგინეს; საახალწლოდ კი მხიარულმა თოვლის ბაბუამ და თოვლის ბებომ აღსაზრდელებს დაუჩინებელი დღე მოუწვევს და საჩუქრებით გაახარეს. სასწავლო წლის დასრულებამდე კი, ბევრი საინტერესო აქტივობა და ღონისძიება აქვთ დაგეგმილი.

ნათია გურგენიძე

135-ე ბაბა-ბაღში ყველა ოპტიმისტია

ნაყოფიერი სასწავლო წლის მოსაპაღმს გულე მოპიბკით



სანგრძლივი იძულებითი დასვენებისა და რეგულაციების შემდგომი ახალი სასწავლო წელი თბილისის 135-ე საბავშვო ბაგა-ბაღმა (დირექტორი **თამილა ხარშილაძე**) 12 სააღმზრდელი ჯგუფში განაახლა. აქედან 3 ბაგის და 9 ბაღის ჯგუფია.

ბაგა-ბაღში ფუნქციონირებს 3 სასკოლო მზაობის ჯგუფი, სადაც აღსაზრდელთა მომზადება სპეციალური პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს, ტარდება ყოველდღიური აქტივობები, ახდენენ მათი უნარების შეფასებას, პროცესში ინდივიდუალურად ჩართვას და სადაც ბევრი საინტერესო პროექტი განხორციელდა.

ასაკობრივ სააღმზრდელი პრო-

ექტებში ჩართულები არიან შესაბამისი ჯგუფები, სადაც მალალ დონეზე მუშაობის შინაარსობრივი მხარე. აღსაზრდელთა მრავალმხრივ და სრულფასოვანი განვითარებაზე, მოტივაციური, ემოციური, სოციალური, მეტყველებითი და შემეცნებითი უნარების გაუმჯობესებაზე ზრუნავს **მულტიდისციპლინარული ჯგუფი**: ფსიქოლოგი **ვიოლეტა მახარაძე**, ლოგოპედი **რუსუდან აბუსერიძე**, სპეც. პედაგოგები – **თამარ ბინკინაშვილი** და **ეთერ მჭედლაძე**; საჭირო უნარჩვევების ჩამოსაყალიბებლად, ისინი თითოეულ აღსაზრდელს ეხმარებიან მაქსიმალურად განვითარონ თავიანთი პოტენციალი. სასწავლო-სააღმზრდელი პროცესს ხელმძღვანელობენ მეთოდისტები – **მარინე ხუციშვილი** და **ირმა თაბაგარი** და კვალიფიციურ აღმზრდელთან ერთად: **მაია ხვედელიძე**, **შორენა ნიორაძე**, **მაია სარალიძე**, **ნეტა მერაბიშვილი**, **მედეა**

გაფრინდამილი, **ნინა კარაპეტანი**, **ნათია მეტუკე**, **ნათია გლოვინიშვილი**, **თამარ გორდენიანი**, **მაია ჯაოშვილი**, **ნათია სადალაშვილი**, **სოფიო ლომიაშვილი**, **ირმა ტერაშვილი**, **ჟუჟუნა ფეიქრიშვილი**, **დარიკო დოლიძე**, **სათუნა დავაძე**, **ლია გეგაძე** – წარმატებით ახორციელებენ ადაპტირებულ სააღმზრდელი პროგრამებს.

თბილისის **საბავშვო ბაღბაღების მართვის სააგენტო** აქტიურად არის ჩართული ბაღების წინსვლისა და განვითარების საქმეში. ინერგება „**ჰასპის**“ სტანდარტების საერთაშორისოდ აღიარებული სურსათის უვნებლობის მართვის

გადაცვათ. გასართობ ღონისძიებას, რომელსაც მშობლებიც ესწრებოდნენ, თოვლის ბაბუა და ყინულის დედოფალი უძღვებოდნენ. საინტერესოდ წარმართა **ნიგნის კითხვის დღეც**. აქტივობებს მუსიკალურად მუსიკის პედაგოგები – **თამარ მორჩილაძე** და **თამარ ჭუბაბრია** აფორმებენ; სამუშაო პროცესის სწორად წარმართვაში აქტიურად მონაწილეობს დირექტორის მოადგილე **ქეთევან ყოლბაია**. იგრძნობა მისი ყურადღება წესრიგის, სისუფთავის მიმართ, კვების პროცესის კონტროლისა და ჯგუფების შემოწმებისას.

სამომავლოდ ბაგა-ბაღში ბევრი ღონისძიება აქტივობა და ღონისძიება იგეგმება. სულ მალე **დედის დღეს** იხივებენ და ჯგუფები შესაბამისი აქტივობებისთვის უკვე გულდასმით ემზადებიან. გაზაფხულისთვის, ტრადიციულად, 5-6 წლიანთა სკოლაში გაცილების დიდი ღონისძიება იგეგმება. საგანმანათლებლო პროცესის სწორად წარმართვისათვის ფიზიკური გარემო



ამისათვის ყველა პირობა შექმნილი, ბაგა-ბაღში ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია, ეზოში მოწყობილია სივრცე გასართობი ატრაქციონებით, სადაც, კარგი ამინდის შემთხვევაში, აღსაზრდელები სუფთა ჰაერზე დიდ დროს ატარებენ.

იმედია, მხიარული აქტივობებითა და საინტერესო ღონისძიებებით დატვირთულ სასწავლო წელს უსაფრთხო გარემოში წარმატებით დაასრულებენ.

ნათია გუგუნაძე



სისტემა. ბაღის კეთილმოწყობილ საზარეულოში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და კალორაჟის დაცვით მზადდება კერძები პატარებისათვის.

ახალი სასწავლო წლის დაწყებას კოლექტივი მომზადებული შეხვდა. ბაღში ყოველდღიურად ტარდება სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები, ღონისძიებები. ჩატარდა სამემოდგომო ღონისძიებები, აღინიშნა საახალწლო დღესასწაული, სადაც პატარებს თბილისის მერიისაგან საჩუქრად ტკბილეულის ნაკრები

სისტემა. ბაღის კეთილმოწყობილ საზარეულოში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და კალორაჟის დაცვით მზადდება კერძები პატარებისათვის.

ახალი სასწავლო წლის დაწყებას კოლექტივი მომზადებული შეხვდა. ბაღში ყოველდღიურად ტარდება სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები, ღონისძიებები. ჩატარდა სამემოდგომო ღონისძიებები, აღინიშნა საახალწლო დღესასწაული, სადაც პატარებს თბილისის მერიისაგან საჩუქრად ტკბილეულის ნაკრები



აქ ყველაფერი აღსაზრდელებისთვისაა



ბავშვობა ყველაზე სასიამოვნო მოგონებების პერიოდია ადამიანის ცხოვრებაში. ამდენად, საბავშვო დაწესებულებებს უდიდესი ფუნქცია აკისრიათ მოზარდების სულიერი აღზრდისა და სამომავლოდ პიროვნების ფორმირების თვალსაზრისით. ბავშვის ფსიქიკა და სულიერი სამყარო ხომ ძალიან ფაქიზი რამ არის, ამდენად თითოეულ აღსაზრდელთან ინდივიდუალური მიდგომა და ადრეულ ეტაპზე, მათი უნარების სწორად განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ, ინდივიდუალური მიდგომა და პატარებთან სწორი და ადეკვატური კომუნიკაცია არის უმთავრესი

და მშობლებიც კმაყოფილები არიან.

თონა ჯინჭარაძე: ჩვენი ბაგა-ბაღი ტრადიციულად მონესრიგებული გარემოთი შეხვდა



სასწავლო წელს. ბაგა-ბაღების სააგენტოს დახმარებით და **კახაბერ გვანცელაძის** მხარში დგომით, ინფრასტრუქტურა

ვენტარი, ტექნიკა და საბავშვო ლიტერატურა. ბაღში მოიხსნა ყველა (კოვიდ 19) რეგულაცია. მშობლებს მიეცათ საშუალება, რომ პატარები მიეცილებინათ სააღმზრდელო ოთახებამდე და გაცნობოდნენ იმ გარემოს, სადაც ბავშვები გაატარებდნენ მთელ დღეს. ჰიგიენას და სანიტარულ წესებს ზედმინივებით ვიცავთ და კვებასაც უდიდეს ყურადღებას ვაქცევთ.

27-ე ბაგა-ბაღში სულ ოთხი გამოსაშვები ჯგუფია, წარმატებით ხორციელდება „სასკოლო მზაობის“ პროგრამა. ბავშვების აღზრდასა და გან-



ვითარებაზე ზრუნავენ პროფესიონალი აღმზრდელები: **ია ბასილაშვილი, რიმა ჯავახიშვილი, მათა სარიშვილი, ხათუნა მუხიგულაშვილი, დალი რუსია და ნათია ყიფიანი.** მათ მხარში უდგანან აღმზრდელის თანამშენებლები: **ნანა ასლანიშვილი, ირინა რუხაძე, მაკა სარაჯიშვილი და მანანა ვასაძე;** ასევე, აღსაზრდელების პერსონალური დახმარებები: **ნინო ბოკუჩავა, ხათუნა მაჩაიძე, ნათი კურტანიძე და ირმა ვახანია.** საგულისხმოა, რომ თითოეულ მათგანს გავლილი აქვთ სპე-



ილობენ ბაგა-ბაღის სრული კოლექტივი: აღმზრდელები, მეთოდური ჯგუფის და ადმინისტრაციის წარმომადგენლები. ასლახანს, ბაღში აღინიშნა „ნიგის კითხვის“ დღე. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში აღმზრდელები პატარებს ესაუბრნენ ნიგის მნიშვნელობაზე და წაუკითხეს საბავშვო ნაწარმოებები. ასევე, აღსაზრდელებისთვის ნაჩვენები იყო მუსიკის პედაგოგის **მეია მეგრელიშვილის** მიერ დადგმული მუსიკალური თოჯინების სპექტაკლი „**ნითელქუდა**“-ს განსხვავებული ვერსია. აქაც, მონაწილეობდნენ და ჩართულები იყვნენ ბაღის აღმზრდელები. თოჯინებს ასმოვანებდნენ: **ეკა ამაშუკელი (მგელი და ტყის მცველი), თამარ ტულუში (ნითელქუდა), ხა-**

მაია სარიშვილი (მელია). როლებში ასევე, მონაწილეობდნენ ბაღის აღმზრდელები და აღსაზრდელები: **ნითელქუდა – ნიტა კიკაბიძე (აღსაზრდელი), კატა – თათული კუჭავა (აღსაზრდელი), მგელი – ხათუნა მუხიგულაშვილი (აღმზრდელი), კურდღელი – მარიამ დავითაშვილი (აღმზრდელის თანამშენებელი), მეზღაპრე-მთხრობელი ნათია ჯინჭარაძე, ტყის მცველი – ია ბასილაშვილი, ბაჭია – ნანა ასლანიშვილი.** სპექტაკლის სცენარისა და მუსიკის ავტორია, მუსიკის პედაგოგი **მეია მეგრელიშვილი,** გაფორმება და დიზაინი ეკუთვნის ბაღის თანამშრომლებს: **მარიტა სარიშვილს და სალომე კურდღელას.**

აი, ასეთი საინტერესო ღონისძიებები და სხვადასხვა



თბილისის 27-ე ბაგა-ბაღში, სადაც კვალიფიკაციური აღმზრდელები მუშაობენ. ამიტომაც, ჩვენი გაზეთის საშუალებით, ყოველწლიურად ვეხმებინებით აღნიშნულ საბავშვო ბაღში განხორციელებულ სიახლეებს თუ სხვადასხვა აქტივობებს. დირექტორი **თონა ჯინჭარაძე** და ბაღის თითოეული თანამშრომელი, დედობრივ მზრუნველობას არ აკლებს პატარებს



სრულიად მონესრიგებულია, განახლდა ყველა საჭირო ინ-



აქტივობები იმართება თბილისის ერთ-ერთ სანიმუშო 27-ე ბაგა-ბაღში, სადაც ყველაფერი შექმნილია იმისთვის, რომ პატარებმა თავი ბედნიერად იგრძნონ და აქ გაატარებული წლები სამუდამოდ დაამახსოვრდეთ.

ანანო სამელია



ციალური კურსები, „სასკოლო მზაობის“-ს პროგრამა და ტრენინგი ინკლუზიური განათლების საფუძვლებზე.

დირექტორის თქმით, ბაგა-ბაღში ტრადიციულად დამკვიდრდა ყველა თემატური აქტივობა ნამდვილ დღესასწაულად აქციონ. ბავშვების გასახალისებლად, ღონისძიებებში თუ წარმოდგენებში პატარებთან ერთად მონაწ-

ტია სიჭინავა (ჩიტა და ბებია),



ასათი დირექტორ-პედაგოგებით ყველგან აბაყობენ



სახალხო სტრიქონებს მოვიშველიებ: „ბევრჯერ ვყოფილვარ ამ დღეში, ერთხელ არ დამიკვნესია“ და ასე გადავაკეთებ: „ბევრჯერ ვსტუმრობდი ამ სკოლას, დღითიდღე უკეთესია“. დიას, სამი წელია კოვიდის მახვილი ჰკიდია ჩვენს თავზე. ამას უკრაინის ომიც დაერთო. არ შედრკნენ, არ დაიჩოქეს, გაძლიერდნენ, ახალ წარმატებებს ეზიარნენ.

ორიოდე წლის წინათ ამ სკოლას ვუძღვენი წერილი: „მუდამ პირველი, მუდამ ძლიერი“. დღესაც ასეა. უფრო დიდ მიღწევებზე არიან ორიენტირებული.

ბოლო ხანებში მეტად დაკინდა პიროვნების, ე. ი. ხელმძღვანელის როლი, გადაფასდა მათი ფუნქცია. ეს გამოიწვია შემოგდებულმა ფორმულამ: „გუნდური მართვა“, მაგრამ ამ გუნდურობის პრინციპებს მაინც ხომ უნდა ჰყავდეს წარმართველი? კრებას ჰყავს თავმჯდომარე. აბა, დამისახელეთ რომელიმე ქვეყანა, რომელსაც სათავეში არ უდგას პრეზიდენტი ან პრემიერი. ამ სკოლასაც ჰყავს დიდი დირექტორი, რომელმაც თავის გუნდთან ერთად ახალ სიმაღლეებს აზიარა პედაგოგიკტივი. იგი გახლავთ ერუდირებული შემოქმედი, გამობრძმედილი თავკაცი **ლია თუშური**. მას მხარს უმშვენივრებენ ასევე გამოცდილი მოადგილეები: **მანანა გორგასლიძე** და **ზონდო დავითური**. ერთი ბრძენკაცის ფორმულა მუდამ იქნება ძალაში: „**კადრები წყვეტენ ყველაფერს!**“ და ასეც არის - ძლიერი პროფე-

სიონალებით არის სკოლა დაკომპლექტებული.

დედაქალაქში თითებზე ჩამოსათვლელი მეგულება **ლია თუშურის** დარი თავდადებული, მეოთხედ საუკუნეზე მეტი ნაღვანი ხელმძღვანელი. იგი, პირველ რიგში, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული, პატრიოტი დირექტორია.

ამაზე მეტი პატრიოტობა რა უნდა იყოს, როცა ყველაფერი გააკეთა ილიას ტრიადა „ენა, მამული, სარწმუნოების“ ფრთაშესასხმელად. დიდხანს წარმატებით ასწავლიდა აზერბაიჯანელებს ქართულს მარნეულის ერთ-ერთ სკოლაში. ამ საქმეს ახლა წარმატებით უძღვება იმავე სკოლის ახალგაზრდა დირექტორი **შორენა ხუხუა**.

ცალკე მსჯელობის თემაა ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოების გამოცემა, რომელთა შესახებ მოკლე ხანში გვექნება მსჯელობა. ესეც ხომ პატრიოტული სულისკვეთების პრაქტიკული გამოვლინებაა.

ალბათ, მისაყვედურებენ, ზედმეტად აქებო დირექტორს. „არ მეშინია დავისა“ ზურგს მიმაგრებს გურამიშვილი: „ავს თუ ავი არ ვუნოდე, კარგს სახელად რა დავარქო?“

„ჰეი, თქვენ, ცაში ბევრს ნუ დაქებთ, ძირს სიხარულით დახედეთ მინას!“

და აი, ის მინაც. კალეიდოსკოპურად, თეზისების სახით გათავაზობთ სკოლიდან მოწოდებულ ინფორმაციას მიმდინარე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ.

რა ბაკეიდა

და რას ბავაკეიდა

დღეის მდგომარეობით სკოლას ჰყავს 1 მენცერი, 18 წამყვანი და 95 უფროსი მასწავლებელი.

სკოლაში არის 9 პირველი კლა-

სი, სადაც ირიცხება 237 პირველკლასელი. მათი დამრიგებლები არიან: 1ა - **ნინო გიორგაძე**, 1ბ - **ხათუნა ლამბაშიძე**, 1გ - **ეკა მალრაძე**, 1დ - **მაია ხარატი**, 1ე - **თამარი თევდორაშვილი**, 1ვ - **ლალი ჩიკვილაძე**, 1ზ - **ნინო ამანათიძე**, 1თ - **ირმა გოგოლაძე** და 1ი - **თათია ბუილიძე**.

გასულ სასწავლო წელს სკოლას ჰყავდა 32 მედალოსანი. 23 - ოქრო, დანარჩენი 9 - ვერცხლი. მე-12 კლასი დაამთავრა 141 მოსწავლემ. გამოცდები უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარა ძირითადად ყველამ.

აღსანიშნავია, რომ 8 მოსწავლე წამყვან უმაღლეს სასწავლებელში ჩაირიცხა 100% - ანი გრანტი, ხოლო 32 მოსწავლე 50 - 70% გრანტით.

სკოლაში მრავლად ჩატარდა გამორჩეული ღონისძიებებიც. მაგალითად: პირველკლასელთათვის სწავლის დაწყების პირველი ზარის ზეიმი; ზეიმი - ოქროსფერი შემოდ-



გომა; საახალწლო ღონისძიებები; დებატები სწავლების მეორე, მესამე საფეხურის მოსწავლეების მიერ; ლიტერატურის მოყვარულთა კლუბის მიერ ჩატარდა საინტერესო საღამო, მწერალთან შეხვედრა (ხელმძღვანელი - **ლია თუშური**).

გასვლითი ექსკურსია - გაკვეთილები ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილების სიღრმისეულად გაცნობის მიზნით. მე - 11 კლასის მოსწავლეები ესტუმრნენ ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-

მუზეუმს (პედაგოგი - **ირმა გურასპაშვილი**).

სკოლამ დაგეგმა და მუშაობა მიმდინარეობდა პროექტზე „**კულტურული მრავალფეროვნება ჩვენი სიმდიდრეა**“. ასევე, აქტიურად დებულობდა მონაწილეობას სკოლა სპორტულ ღონისძიებებში.

სკოლა აქტიურად არის ჩართული ეროვნული სასწავლო გეგმის „**მესამე თაობის**“ ახალი სკოლის მოდელში.

ახალი სასწავლო წელი დაიწყო მე-10 კლასის სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით სიახლეებით.

აღსანიშნავია მე-10 კლასში სამოქალაქო განათლების პროექტი და პროექტი **მუსიკაში** დამატება.

ძალზე მნიშვნელოვანია მე-10 კლასში საქართველოს ისტორიის სწავლების შემოღება, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მოსწავლემ სიღრმისეულად შეისწავლოს სამშობლოს ისტორიული წარსული, გახდეს დიდებულ წინაპართა დამფასებელი პატრიოტი.

გისურვებთ მხნეობას და ახალ-ახალ წარმატებებს 173-ე სკოლელოში!

რედაქტორი

P. S. ას წელს მიახლოებული „სახალხო განათლების“ რედაქცია დიდ მადლობას უხდის დირექტორ ლია თუშურს, მთელ პედაგოგიკტივს თანამშრომლობისა და ყველანაირად მხარში დგომისათვის.



გალე ბიბლიოთეკას შემაჯავებ

აი, წიგნი!



მარტო ბამოლის მაია კახიძის მე-12 წიგნი, „კალამისგაყოლილია“, რ(ო)მელიც ცხოვრებისეულ ისტორიებს ბვიამბოებს. ჰოდა, ამ მცირე ამონარიდს, სწორედ ახალი წიგნიდან ბთავაზ(ობ)თ.

ჭინჭრადქვეული

დედაჩემი რამდენიმე თვის წინ გადავიდა იმიერში. სამამულო ომის პერიოდში გაიზარდა, ბევრის მნახველმა გოგომ კარგად იცოდა მწვანე კერძების მომზადება, რამაც იმ გაჭირვებულ წლებში გადაარჩინა დიდი და პატარა: ეს დანდურიო, ეს ნაცარქათამა მხალიო, ღანძილი და ღოღო, სატაცურიო, ჭინჭარიო... შეჭამანდს ეძახდნენ მაშინ. ეს კი არა, გამხმარი პურის ხარჩოსაც მიირთმევდნენ.

ერთი სიტყვით, ამ ჩემმა მაყვალამ ვერა დე ვერ მოიშალა სააღდგომოდ ჭინჭრის შეჭამანდის კეთება. არასოდეს ამომიღია ხმა, უნდოდა და ამზადებდა. მეგონა, იმ თავისი ბავშვობა-გოგოობის წლები ეფერებოდა.

არადა, რა საოცარია, მხოლოდ შარშან გავიგე, მისი სიცოცხლის

ბოლო აღდგომას, თუ რატომ ამზადებდა ყოველ წითელ პარასკევს ჭინჭრის კერძს. იმხელა სამზადისი იყო ოჯახში და ძალიან მეზედმეტებოდა ახლად ამოღებულ ჭინჭრის შეჭამანდი. ჰოდა, პირველად ამოვიღე ხმა და ვკითხე:

- დედი, რად გინდა ჭინჭარი, ხომ ხედავ, არავის უყვარს, არავინ ეკარება, ამდენი რამეა და შენ მაინც ჭინჭრიან ქვებს შემოდგამ ხოლმე. არადა, პარასკევს და მომდევნო დღეებში გული განსაკუთრებით მიცემდა. ჰოდა, მაშინ დედაჩემის ნათქვამმა მართლა ძალიან ამაფორიაქა:

- შეილო, ჭინჭარი მთელმა საქრისტიანომ უნდა მოამზადოს ოჯახში, ერთი ლუკმა მაინც უნდა მიირთვას ყველამ, ეს დიდი შეება და მადლია იესოსთვის, იმიტომ,

რომ არ დაისუსხოს, არ აენვას, ხელახლა არ დაეფუთქოს ის ნატანჯი სხეული... შემოგველოთ დედა, რადგან არ გიყვართ ჭინჭარი, თქვენს სახელსაც ვარქმევ თითოეულ ლუკმას. როდესაც ვამზადებ და ვკაზმავ, თან ვილოცები, მასაც ვლოცავ და თქვენც. მომზადებისას მგონია, რომ ცოტათი მაინც ვუმსუბუქებ ტკივილს, ტანჯვას და სხეულის ნვას. ჰო, მოხუც ჭინჭარს თეთრი, ღამაში ყვავილები რომ აქვს, იცი, რა არის? იესოს დედის, მარიაშის ცრემლებია, შვილის გულში ჩაკვრა რომ უნდა და... იმიტომაც ყვავის საუკუნეებია. ჭინჭრადქვეული დედის ჩახუტებაა, ლოცვაა, გულის დარღია და ფითრის კურცხალი.

ცოტა გული აუჩუყდა დედაჩემს. გავიტრუნე.

გული ისე მიფართხალვდა, მეგონა კარგად ვიცნობდი საკუთარ დედას, თურმე რალაც მაინც არ მცოდნია მის მოწყალე გულზე, თითებზე, ასე გულმოდგინედ რომ არჩევდა ხოლმე ჭინჭრის თითოეულ ღერს და ფოთოლს, მისი იესოსთვის, ყოველ წითელ პარასკევს.

*

ძალიან ღამაში გოგო იყო დედაჩემი, ძალიან ღამაში...

ძალიან კეთილგულა იყო მამაჩემი, ძალიან...

ახლა უკვე კარგად ვიცი, მშო-

ბლების გარეშე ცხოვრება რა დიდი სევდა ყოფილა.

ღმერთო, დედა რომ მყავდეს, სიყვარულს თავიდან ავუხსნიდი!..

მამა რომ მყავდეს, სიყვარულზე და მონატრებაზე წავუკითხავდი ლექსებს!..

პატარა ზიფი და, პატარა გოგო და...

...სახურთალოდან სამარშრუტო ტაქსით მომინია მგზავრობა. ავედი, მოვკალათდი, ის იყო პირბადე შევისწორე და მოულოდნელად მკვეთრად დაამუხრუჭა მძლომა. თვალი მოვკარი გზაზე გადამდგარ ბიჭს, რომელიც უცბად შემოვარდა. თან ძალიან სიმპათიური იყო, ასე 20-22 წლის იქნებოდა. მძლომა ხელი ჩაიქნია, აღარ დაუნყო ჩხუბი, - რატომ გადამიდექიო. ჩანდა, ბიჭსაც ძალიან ეჩქარებოდა. ადვილად კიდევ.

იქვე, ჩემს სავარძელთან გაჩერდა, თავისუფალი სავარძელი აღარც იყო, თუმცა, მალევე დაფრწმუნდი, ცარიელ ადგილს კი არა, გოგოს ეძებდა, მარიაშს.

ღმერთო, ჩემო, რაც ბე და სხვებმა ვინერვიულეთ იმ ბიჭის გამო. საბრალო, თან, როგორი ზრდილი იყო, კარგი ქართულით მოსაუბრე. მოკლედ, ეხვეწა და ემუდარა იმ მარიაშს:

- სად ხარ ახლა, რატომ არ მეუბნები, მითხარი და მოვალ... ის უთიშავდა. მცირე პაუზის მერე, ბიჭი ისევ ურეკავდა. გოგო,

ალბათ, ჯობრზე პასუხობდა, თან აწვალვდა და მაინც არ ეუბნებოდა, სად იყო.

ერთი სიტყვით, იმდენჯერ წარმოთქვა, - „მარიაშ, სად ხარ,“ იმდენჯერ სთხოვა, - მოვალ, ოღონდ, მითხარიო, მთელი „მარშრუტკა“ ინვოდა ბიჭის ცოდვით.

ხმის ტონზეც კი შევატყვე, რომ გულის ყველა კუთხე-კუნჭულით იყო შეყვარებული. ის გოგო კი თავის ჭკუაზე ათამაშებდა.

არ ვიცი, რა გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ როგორ უცბადაც ამოხტა ტრანსპორტში, ისევ უცბად ჩახტა. კი მივაძახე: ნუ იტანჯავ თავს, არ გამოგადგება ეგ გოგო- მეთქი.

მივხვდი, გაიგონა...

მერე, რამდენიმე წუთით ისე არუზრუნდნენ მგზავრები... თუმცა, ყველამ შეყვარებული ბიჭი დაიცვა და დაგვენანა ნამდვილად. ასეთი კოპონა, წრფელი და კარგი ქართულით მოუბარი ახალგაზრდები ხშირად არ მხვდებიან და რალაცნაირ გუნებაზე დავდექი. ჯერ ისევ მეფიქრება ის კაი ბიჭი: რა ქნა, ნეტავ, იპოვა თავისი მარიაში-მეთქი?!

ეექ, სიყვარულს რას გაუგებ? ვერცერთმა დრომ, უამმა, ეპოქამ, მხატვარმა, მეცნიერმა, მწერალმა, პოეტმა ვერ ამოხსნა, რა არის, რას და რატომ მართებს ადამიანს, რასაც მართებს...

*

და მაინც, სიყვარულს გაუმარჯოს! სანამ გიყვარს, მართლა ახალგაზრდა ხარ!

რეაბილიტირებული სკოლა ბჰარუქა



აქვს წარმატებისათვის განახლებულ ინფრასტრუქტურას. ამაზე სიტყვას არ ვაგვრძელებთ.

შეიძლება გარემონტებულ შენობას, ძალიან კრიტიკულად თუ მივუდგებით, რაიმე წუნი აღმოვუჩინოთ, მაგრამ ნათქვამია: ნაჩუქარ ცხენს კბილებს არ უსინჯავენო.

არა გვაქვს საშუალება, სკოლის სახელოვანი ისტორია შევასხენოთ მკითხველს, მაგრამ რამდენიმე შტრიხის ხაზგასმა აუცილებელია.

ამ სკოლას ერთ დროს და მგონი ახლაც, „კამოს სკოლას“ ეძახდნენ და ეძახიან. კამო სიმონგულაშვილი ერთ-ერთი გამორჩეული დირექტორი იყო. მისი მონივრე გამოცდილება უფრო გაამდიდრეს მისმა მემკვიდრეებმა: ქეთევან მელიქიშვილმა და მაია კვინიკაძემ.

რეაბილიტირებული შენობა კიდევ ბევრი სიკეთით გამოირჩევა. სიტყვა-სიტყვით გაგაცნობთ სკოლიდან მოწოდებულ სამადლოებლო ბარათს: „36-ე სკოლის რეაბილიტაცია დაინიშნა 2021 წლის აგვისტოში და დასრულდა 2022 წლის დეკემბერში. სკოლის რეაბილიტაციას აწარმოებდა სამშენებლო კომპანია „ბალავარი“, დამკვე-

3 300 000 ლარი დაიხარჯა. გარემონტდა ყველაფერი. განათლების სამინისტრო დაგვეხმარა ახალი ავეჯის, ფარდა ჟალუზების, ახალი კომპიუტერების შეძენაში. გაიხსნა გახანგრძლივებული, ქართული ცეკვის, მუსიკის, კალათბურთის, ფეხბურთის წრეები. პედოლოგები, მონსწავლეები, მათი მშობლები, უბნის მოსახლეობა ძალიან კმაყოფილი და გახარებული ვართ. მათი სახელით უღრმეს მადლობას მოვასხენებთ მთავრობას, განათლების სამინისტროს, მშენებელ ორგანიზაციებს, მუნიციპალიტეტს ასეთი ზრუნვისათვის!




თი მუნიციპალური განვითარების ფონდი. მოხდა მთლიანი სკოლის რეაბილიტაცია. დაემატა ლიფტი, პანდუსები, უსინათლოთა ბილიკები. სკოლა სასწავლო-აღმზრდელი პროცესს ონლაინ ახორციელებდა ორწლიანდნახევარი. რეაბილიტაციაზე დაახლოებით

მაია კვინიკაძე, სკოლის დირექტორი.

ყველას გვახსოვს თასმოპოვებული ფეხბურთელების სიმღერა: „არის, ასრულდა ოცნება, არის, ასრულდა მიზანი!“ ეს აღფრთოვანება ზუსტად მიესადაგება 36-ე სკოლელთა სიხარულს. პათეტიკის გარეშე შეუძლებელია ამ ისტორიულ მოვლენაზე საუბარი. თუ რა სასიცოცხლო მნიშვნელობა



რედაქტორის მიხედვით: გაზეთ „სახალხო განათლება“-ის რედაქცია ულოცავს ამ ისტორიულ მოვლენას სკოლის ყველა თანამშრომელს, ახალ-ახალ სასიხარულო დღეებს გისურვებთ. გულწრფელ მადლობას ვუხდით მთავრობას, სამინისტროს, მშენებელ ორგანიზაციას, ყველას, ვისაც წვლილი მიუძღვის ამ დიად საქმეში.



რედაქციაში წერილი მოვიდა

ბამოხმაურება თამაზ ქვლივიძის წერილზე

ბატონი თამაზ ქვლივიძის წერილებს დიდი ხანია ვკითხულობ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და ვეცნობი მის პიროვნებას, როგორც მევენახეს, როგორც ნოვატორს, პოეტს, რომელმაც შოთა რუსთაველის 850 წლისთავზე პოემა „ვეფხისტყაოსანს“ 850 სტრიქონიანი პოემა უძღვნა: „ვაზისა და 850 წლის რუსთაველის საუბარი“, რუსთაველურად თექსვეტმარცვლიანი, სადაც პოეტი უმღერის საქართველოს, როგორც ღვინის, ვაზისა და პოეზიის სამშობლოს.

აი, კაცი, თავისი ქვეყნის პატრიოტი, პოეტი, მევენახე, ძალიან უბრალო და ყურადღებიანი პიროვნება, თვითნაბადი ნიჭით დაჯილდოებული, პირდაპირი, შემტევი და მებრძოლი სულით ანთებული ქართველი, საგარეჯოელი, 58 გამოგონების ავტორ-გამომგონებელი.

ჯერ კიდევ მოსწავლეობის პერიოდში, როცა თამაზი 14 წლისა ყოფილა, 1969 წლის 17 თებერვალს, მამამისი ვაზის გასასხლავად წასულა და სკოლიდან მომავალ თამაზს თავისი ჩანთა ძმისთვის, ფორუზისთვის გაუტანებია სახლში და თვითონ მამას დახმარებია წალმის გამოტანაში. იქვე მამამისს დაბადების დღე მიულოცავს და ღვინის გემოც მაშინ გაუგია. იქვე ლექსის მუზას შეუწუხებია და კალმის მაგივრად წალამი აუღია და სტრიქონები მიწაზე დაუწერია:

„ვაზი რომ მამამ გამისხლა და გამომქონდა წალამი, ფიქრის გალესვა მომწადა, ხელში ავიღე კალამი“.

სიხარულისგან ცრემლები წამოსვლია და სტროფი დაუმთავრებია:

„ფიცხლად ლერწმისგან დაწვანი შოთასთვის ოქროს ალამი, რითაც რომ მიწა გაახლო რეას სტრიქონით სალამი.“

1969 წელს თამაზმა რომ რუსთაველის 800 წლისთავის აღნიშვნისას მოიფიქრა, ლექსის მუზამ შეაწუხა და იმჟამინდელ სტრიქონებს დაუმატა ვაზისადმი მიძღვნილი ლექსები და შესავალი სახით 2017-18 წლებში გამოაქვეყნა იმის იმედით, რომ მკითხველი წყალწაღებულ სამიანს მაინც დაუწერდა.

მნივნობარი ხალხის გამოხმაურებებმა რადგან სამიანს გადააჭარბა, პოეტმა-მევენახემ გადაწყვიტა 800 სტრიქონიანი პოემა გამოექვეყნებინა და გამოსცა წიგნად „ვაზისა და 850 წლის რუსთაველის საუბარი“. წიგნის კეთილმა მკითხველებმა ჩვენი პოეტი ახალი იდეების გამომგონებლად გაათამაშა და განმეორებით შემოგვთავაზა 855 წლის იუბილეზე, სათაურით „მადლიანი“.

ჯერ კიდევ 14 წლის მოსწავლე, მამას რომ ეხმარებოდა ვაზის წალმის გატანაში, ლექსის მუზამ შეაწუხა და პოემაც ამით დაიწყო.

შემდეგ რუსთაველს მიმართავს: „შენ ყოფნისთვის ღმერთს მადლობას მუხლმოდრეკით მოვასხენებ“. და მერე პოეტი, თითქოს რუსთაველს გამოცდას აბარებს ლექსთა წყობაზე: „გულსა სწადის წარჩინებით წარიმართოს ლექსის წყობა, რომ ფრიალზე ჩაგაბარო ჩემი ხედვა და განწყობა. მე სიმდიდრე არ მჭირდება, არ საჩინოდ გამოწყობა, მსურს დღეიდან განადგურდეს მტრობა, შური და „ჩანწყობა“. თამაზის მონდომებამ მეც მიბიძგა კალმისკენ და მასზე ლექსი დამანერინა:

თამაზ ქვლივიძის

თქვენს გაცნობას ვესწრაფოდი, ფიქრით მყავდი შორი ლანდი, მაგრამ ისე არ ვცდილობდი, რომ მეხმარა რამე ფანდი. თქვენი გაცნობა მწყუროდა, ეს არ არის სიაფანდი, მიბილურით გეკონტაქტე, გამოსაცდელ ბავშვსა ვგვანდი.

რა უბრალოდ, რა მარტივად, რა მსუბუქად გაგიცანით, მეგობარი შეგიძინეთ, ჩემი თავი ბრძენად ვცანი, „წუთისოფლის წიგნი“ მწუქნეთ, არ გასულა დიდი ხანი, მერე ჭაჭის არაყი ვსვით, დავშორდით ვით ფანსა ფანი.


თქვენი იდეები მომწონს, ზოგს არა აქვს გასაქანი, მუდამ გვერდით დაგიდგებით, გაიტანეთ გასატანი, დავით ძეგლით დავამშვენოთ 36 საფეხურიანი, მამული არ შეგვიღახონ, არ მოგვტაცონ დანი-ძმანი.

შეხვედრა მერაბ კოსტავას ეზოში, ზურაბ ქობალიას გამომცემლობაში, პოეტ-გამომგონებელ თამაზ ქვლივიძისთან პოეტებისა ზურაბ მამულაშვილის, ზურაბ ქობალიასა და ვლადიმერ გიორგაძისთან.

მარტო, არარაობა ვართ, ჩვენო თამაზ, ზურა, ზურა, იმ დღეს ისე გამახარეთ, პოეზიის ქუდი მხურავს.

იმ დღეს როგორ დავივიწყებ, პოეზიის ნავში ვცურავ, ისე, ისე ამამალღეთ, ვითარც თევზი ზღვაში ცურავს.

მე თქვენს სულებს ვეფერები, სიყვარულის ქუდი მხურავს, არსად, არვისთან ვიჭრებით, ცხოვრება გვსურს ვაჟკაცურად.



თქვენი სიყვარული დამაქვს მსუბუქად და სულ უბრალოდ, სანამ ქვეყნად ცოცხლები ვართ, კოხტა ეზოს ვისუბროთ.

სანამ კიდევ შეგვიძლია, ჩვენ სიკეთე ბევრი ვთვალოთ, სიბოროტე დავამარცხოთ, უკეთ ცხოვრება შევცვალოთ.

რუსთაველის სახლის ადლად ესე ეზო შევთავაზე, გაითავისა ეს აზრი, ვინაც ფერობს შოთას, ვაზებს.

ყველას ერთად გვიხრია მამული და პოეზია, სიყვარულმა აგვიტაცა, სანამ ვხედავთ დღეებს მზიანს.

ბოროტება დავამარცხოთ, ვთესოთ სიკეთის მარცვალი, შემართებით ოთხივესი ტრიალებდეს წინ ბორობალი.

ვლადიმერ გიორგაძე, ფილოლოგი.

მამის ნაბლარი იაჰნანა

ლილე კაკვასიშვილი



- ვერა და ვერ დაირწა აკვანი ჩემს მამულში. შვილი მენატრება. ღმერთო, მარჯუე ძე და შესანიშნავს მოგართმევ!

- ნეტავ, რაღას ვუცქერით ამდენ ხანს. გაგვეზარდა ერთი ვაჟი. ეს საზრუნავი ხომ ადამიანისათვის აუცილებელია.

- კიდევ დავიცადოთ, მიტო. იქნება, ინებოს განგებამ და გვაჩუქოს შვილი!

- ყველანაირი შვილი ნაჩუქარი, დარინე, ღმერთისგან.

- მე მაინც მწამს, ჩვენ შვილები გვეყოლება და ნულარ ავიტყვიებთ თავს, დამიჯერე.

ქალის ჭკუაზე როგორ გავიარო? არა, მე ჩემსას მაინც გავიტან. ბიჭ ბავშვს როგორმე ჩემად შემოვიყვან სახლში. როცა დაინახავს ჩემი ცოლი, თანდათან შეუყვარდება და ღმერთმა ინებოს, ამის შემდეგ და მეყოლოს მრავალი.

დაძინებისას ფიქრობდა ბევრს. საშველი მაინც არ ჩანდა. გარეთ ცივი ქარი უსტვენდა. ითოშებოდა კარ-მიდამო. იყინებოდა ფანჯრის მინები. ფიქრი აწვალდა მაინც, საიდან შეიძლება საქმის შემოვლა. საშინელი ყოფილა უშვილობა. თებერვალ-მარტის გასაყარ სიცივეს ადარებდა და ათავისებდა თავისთავს. თუმცა, ეჩვენებოდა, რომ მსტვენავი ქარი ანუგეშებდა მის გულს.

- მერე რა, რომ სახლი სავსე ყველაფრით. შთამომავლობის გარეშე ეს სავსე სიცარიელედ გეჩვენება კაცს.

- ღმერთო, შეისმინე ვედრება, გამხადე მამობის ღირსი, ხნულში როცა თესლი ჩავარდება, ღიღინს ჩავაყოლებ, ვმღერო გუთნურს. ესმის კი ვინმეს ამ დალოცვილი ხნულისა და ხარების გარდა ჩემი გუთნური? შვილმა მინდა გაიგონოს მამის სიმღერა. ძლიერ მინდა შეუძრას სული და გაითავისოს. ძე მომეცი, ღმერთო, რათა შეისმინოს შთაგონება ჩემი. მამულს უპატრონოს და არ დაუფლოს უცხო ჩემს მინა-წყალს! — ქარი აგრძელებდა სტვენას, სიცივე გაჯდომოდა ხე-ბუჩქებს. - სიცოცხლე დაგეზარება, მითუმეტეს, როცა მამის სიტყვა არ ესმით შვილებს, ვერ გაითავისებენ და კვდება ერთი პატარა უჯრედი. თუ ღმერთმა შეისმინა და გამხადე ღირსი მამობისა, პირობას ვებო, იავნანა ვუმღერო.

- სად გაგონილა, კაცმა იმღეროს იავნანა? არა, მე უნდა ვუმღერო ჩემს შვილს გულიდან ამონახეთქი იავნანა. აქ რომ ვმღერით, ისე არსად იმღერებს. ტირილი, სევდა, სიხარული, ტკბილი და

ჟრუანტელის მომგვრელი, მთელს სხეულს რომ ედება. ამ სიმღერას ვერ შეედრება ვერცერთი ჰანგი ქვეყნიერებაზედ. იგი ყველა ხალხს აქვს და ღმერთისაგან არის ნაჩუქარი. ყველას ასე აქვს შესისხლხორცებული და მეც მენატრება შვილს ვუმღერო. მისი ძალა მამულის სიყვარულს არ გააფერმკრთალებს მასში.

უდაბნოსავით არის უშვილო სახლი. ნეტავ, თუ ფიქრობს ჩემი ცოლი ჩემნაირად. ამ ჩემს დარდს სხვას ვერ ვუმხელ, ვერ გამოვხატავ ყველას წინაშე. მინის დამუშავებისას ნამომცდა ღიღინი და იქიდან გამოძახეს: კაცო, მთვრალი ხომ არ ხარ, რა დროს ამ დილით ღიღინია? ეგრე ხომ მოკვდები კაცი, თუ ღიღინის მადლი არ ჩააყოლა ამ დალოცვილი ბარაქიანი მინის ხენისას.

- მიტო, გლვიდავს, კაცო?
- ხო! შენ თუ გლვიდა არ ვიცოდი.

- დაიცა, რაღაც ხმაურია, მგონი!

- რა უნდა იყოს, დაიძინე, გარეთ ქარი უბერავს, - ასეთ საზიზღარ ამინდისას კაცს ხასიათი უფუჭდება და შეიძლება, ფიქრებს რომ არ აჰყვებს, კიდევაც მოკვდეს.

- დაიცა, კაცო! კიდევ გეუბნები, ხმაურია-მეთქი. აივნის კარის ხმაური გავიგონე ამკარად. სახლი არ გაგვიტეხონ. გაიტანე შენი სანადირო თოფი და ჰაერში ისროლე.

- გაჩუმდი, ქარია-მეთქი!
- აბა, ნახე თუ ქარია. ტირილის ხმა ხომ არ მოდის? ჩვილი ბავშვის ხმას ჰგავს.

- კატების ჩხავილი იქნება. მარტში იციან ტირილი და ჩვილი ბავშვის ხმა გეგონება.

- ფუი ეშმაკს, კატა რად მინდოდა? მაინც გაიტანე, კაცო, თოფი და ისროლე. ამით რა დაშავდება?

- რას იტყვიან, ქალო, მეზობლები? ხმამალა სიმღერა ვერ გამიბეღია თავისუფალ დროს და თოფი რომ ვისროლო, სულ მთლად გაგიჟდაო, ცილს დამწამებენ. ახლა, რატომღაც, თავად მიტოს მოუნდა ყურის მიგდება და მართლაც, ქარის სტვენასთან ერთად ტირილი მოესმა.

- ქალო, სასწრაფოდ უნდა გავიდეთ გარეთ! მგონია, მართლა, ტირილის ხმაა, კატა არ უნდა იყვოს.

- ვაი, თუ ვინმემ ბავშვი შემოგვიგდო, კიდევ გავიჟდები! — გაცხარდა დარინე.

ნეტაი, ბავშვი იქნებოდეს, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ექნების.

- შენ ჭკუაზე არ ხარ, კაცო! სხვის შვილს კი არა, საკუთარს ვერაფერს აგებინებ. აგერა, შენი ძმები, ხომ ხედავ შვილებმა რა დღეში ჩაავადეს?

- შვილებს აღზრდა უნდა, შენს ფესვებს არ უნდა მოსწყვიტო, რას იბარგა და გადასახლდა ქალაქში. თავისი ვენახები ხომ სულ ერთიანად გაანადგურა. ასეა შენი მინა-წყლის ლალატი მოდგმას გაგიჩანავებს, დარია. იმ ჩვენ დიდ პაპასაც ქონია ცოდვა, მოუტაცნია მეზობლის მინები და მისი ქმრის დალუპვასაც მას აბრალებენ. აგერ,

ხომ ხედავ, ჩემი ძმის ნაშვილები არაფრად ვარგობენ და ჩვენც შთამომავლობის გარეშე უნდა დავრჩეთ...

თითქოს მიაგინდათო ტირილი და ცოლ-ქმარმა დაძინება გადაწყვიტა, მაგრამ არა, ტირილი უფრო ძლიერდებოდა.

- თოფის ხმაზედ ვაი თუ ადამიანის სული მთლად განადგურდეს. ასე გავალ, დარინე და ხმამალა გავძახებ, - არ დააყოვნა მიტომ. სწრაფად გადაიცივა ტანთ და გარეთ აივანზე შესძახა:

- რომელი ხარ, მანდ?
- არავინ შეპასუხებია. ამკარად ჩვილის ტირილი იყო.

- ღმერთო, ნუთუ შეისმინე ჩემი ფიქრი და ვედრება! - შეხვეული ბავშვია კალათაში. ფანჯარასთან დაედო ვილაცას და გაპარულიყო... სწრაფად მივარდა მიტო კალათას. გადაეფარა, არ გაცივდესო ბაღი. დარინესთან როგორ შევიდა არც კი ახსოვდა ბედნიერ გლეხკაცს.

- დარინე, ვილაცამ ბავშვი მოგვიგდო და თვითონ გაიბარა!
- რას ამბობ, მიტო? რა გვეშველება? ბავშვს რამდენი რამე უნდა?

- რა იყო, ქალო, რა გვაკლია, მინა-წყალი ჩვენია და ხარ-ძროხა, ბალ-ბოსტანი. ერთი კი არა ათი გაიზრდება ამ ბარაქიან მინა-წყალზედა. — პირველად გადინდა მიტომ. ნუთუ, მართლა, ასე შეისმინა მარტოდენ კაცის თხოვნა-მუდარა იმ დალოცვილმა ღმერთმა!

- გავხსნათ, დარინე, ბიჭია თუ გოგო? მთლად ჩვილია, ერთი ორი თვისა თუ იქნება.

- ღმერთო, შენ დამიფარე! ამ ქარაშოტში ვინ გაიმეტა პანანა სხვის კარზე მისაგდებად?

- ცეცხლი დაანთე, მიტო! ოთახი გავათბოთ და ჩვილი გავხსნათ. ბიჭია თუ გოგო?

მიტომ სასწრაფოდ გააჩაღა ცეცხლი. სინათლე აანთო. გახარებულმა აღარ იცოდა რა ემოქმედა. გათბა ოთახი, ქარიც მისუსტდაო, თითქოს, არაქათი გამოეღია სუსხს, ზამთარი მომკვდავი ადამიანივით იბრძვის, მალე დამარცხდება!

- ალბათ, ასე გვენერა, დარინე!.. ერთი სული მაქვს, პანანას როდის გავხსნით.

ჩვილი სითბოში გაჩუმდა, აღარ ტიროდა.

მიტო პირველი მივიდა ჩვილთან. გახსნა სახვევები და გახარებულმა ხმამალა შესძახა: ბიჭია! ბიჭია, დარინე!

- ხარს შემოგვიჩინა, წმინდაო გიორგი! ყველა სალოცავს დავივლი. ასეთი ბედნიერი არასდროს ვყოფილვარ, - ბავშვი მკერდზე მიიკრა და გულის სიღრმიდან იავნანა ნამოინყო. ის იავნანა დედისგან რომ მოესმინა. ნელი ბუხუნა ხმით ნამღერმა იავნანამ და სითბომ ჩვილი მეტად გააყურა და მიტოს მკერდს თვითონაც მიეკრო.

ადრე ამდგარ მეზობლებს ეუცნაურათ სახლში ანთებული სინათლეები. როდის იქცეოდნენ ასე დაუზოგავად? მთელი სახლი განათებულიყო. ეზოს დიდი შუქები ზოლებად ევლებოდა და ყველაფერს აჩენდა. დარინემ ბავშ-

ვი საგულდაგულოდ გაახვია და დაინყო ფიქრი იმაზედ, რა უნდა ემოქმედა უცებ.

- დარინე, თოფი მართლა უნდა ვისროლო! მთელს ქვეყნიერებას შევძრავ, შვილი მარჯუა ღმერთმა. ცხვარი დავკლათ და დიდი სუფრა გავუმართოთ მეზობლებს.

- მეშინია, მიტო, რომ გაგვაზრდევინონ ბავშვი და მერე პატრონი გამოუჩნდეს, სადღა ნავიდეთ? ნაშრომი წყალში არ ჩაგვეყაროს, კაცო!

- არა, დარინე! ხალხს უჭირს, პატიოსანი დედ-მამისა იქნება, ვერ შეინახავენ, ქალო და იმიტომაც დავკისვებს, ეტყობა, იციან, კარგა ხანია შვილი რომ არ გვიჩნდება... რო იცოდე, ვერც გაბედავენ გამოჩენას. ხო იცი, ქართველი კაცი თავმოყვარეა და არც იკისრებს ამას, ოღონდ არ შერცხვებს, რო ამისთანა საქციელი ჩაიდინა.

- ღმერთმა ქნას, მიტო, რო გაგვიმართლოს ბოლომდინა, კაცო.

ღიღინს რვა საათზე სოფელს ღვიძავს, ზოგი საქონელს მიერეკება და ზოგი სამუშაოდ გადადის. მიტო გავიდა აივანზე და თოფი ისროლა. მეზობლები მისცივიდნენ.

-ღმერთმა ბიჭი მარჯუა, ბიჭი! — გახარებული გაჰყვიროდა მიტო.

- გილოცავთ მიტო და დარინე!
- გილოცავთ ფუძის გამრთელე-ბას!

- მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ქაა, ვისი იქნება. მთავარია ღმერთმა შენთვის გაიმეტა და გაგაზრდევინებს.

მალე დიდი სუფრა გაიშალა. მეზობლები უხვი საჩუქრებით გარს შემოემტყნენ წყვილს. მეტადრე ის უხაროდათ, მიტოს ბიჭი უნდოდა!

- განა ვერ გაცხოვდით გულის დარდსა? სახეზე გენერა ფიქრი და ამოუცნობი არ იქნებოდა ვინმესთვის. ახლა გადღეგრძელოთ ღმერთმა და გაგიმრავლოთ ვაჟები! ამას კიდევ მოჰყვება თქვენი შვილები, მიტო!

- ვინც უნდა დაიბადოს, იცოდეთ მეზობლებო, ჩემი პირველი სიხარული ამ თებერვალ-მარტის გასაყარზე, მხოლოდ პატარა ლუკა იქნება, ჩემი პირველი შვილი. მამის ნუგეში, რადგან, ვერ დავიშალავთ, მთელი ღამე არ დამეძინა. იმ ქარაშოტს ვუსმენდი, კაცო, ბავშვის ტირილი რომ მოჰქონდა ჩვენამდე. ვერც კი წარმოვიდგენდი, ამხელა დადარდიანებულს ოჯახი ასე თუ გამითბებოდა.

- კიდევაც არ გამიკვირდა ამხელაზე გადაჩახჩახებული სინათლეები? ნეტა, რა დამართა მეთქი, - იხსენებდნენ მეზობლები. ძნელია უშვილო ოჯახი!

- ვენახის მუშა შეეძინა ოჯახსა, დაილოცა შენი დიდება, უფალო! განა, მიტო თავისნაირს არ გაზრდის, კაცო? აბა, ი კაცი რა კაცია, სახლს რომ მიატოვებს და სადღაც გაიქცევა. ასეთ ოჯახს არა აქვს მადლი. მერე მისტირიან, კაცო,

აქაურობასა. მინას დამუშავება უნდა, ვენახს შვილივით მოვლა და ასე თუ არა ვიქო, გადაშენების ჩვენი მამული. — შექვიფიანებული მეზობლები მრავალჯამიერს მღეროდნენ. მღეროდა მიტო მათთან ერთად და მთელი სული და გული ჰქონდა ჩაქსოვილი ამ ხმოვანებაში.

- ეს გაუმარჯოს იმ მრავალჯამიერს, რომელიც ზრდის და აწრთობს ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების სულს! ასე გაზრდის მიტო თავის ერთადერთ ვაჟს! ასე მოუწოდებს და ასწავლის ჩვენებურ მრავალჯამიერს. თაობიდან თაობას რომ გადაეცემა, დუნიაზე ბადალი არ მოეძებნება. — თამადის წარმოქმნილი სადღეგრძელო



ძალას მატებდა მიტოს და მის ვაჟკაცს.

- მიტო, როგორ არის შენი ვაჟკაცი? დიდი ბიჭია უკვე.

- ხო, შვილო, ხო! ეგრე არა სჯობიან? მამ, რაა ადამიანის სიცოცხლე, თუ კერისა გამგრძელებელი არ დაუტოვე.

- ლუკა სამისა გახდა, მიტო, რა-ლაცას გეტყვი... არ ვიცი, კაცო, ამ მოლო ხანებში დავმძიმდი, მგონია, მუცელი მეზრდება.

- რას ამბობ, ქალო? მიდი, გაე-სინჯე, იქნებ ორსულადაც ხარ? ხო იცი, ბევრია ასეთი შემთხვევა. შენ გენაცვალოს მამა! აგერ დედაშენმა თუ კიდევ ბიჭი გააჩინა, მაშინ ნახე წყვილი ძმები, ვერავინ მოგერევათ. ამ ჩვენს მადლიან მინაზედ მტერს არ გაახარებთ, შვილო. — მიტო მოეხვია ცოლსა და შვილს. გული სიხარულით შეუთამამდა, თითქოს იგრძნო მომავალი სიხარული წინასწარ.

- დარინე ნახე, მარო?

- ვნახე, ქალო და მგონი ორსულად არის, - საუბრობდნენ მეზობლები.

დარინეს ურჩიეს მეზობლებმა და მიიყვანეს ექიმთან. ექიმმა გასინჯა დარინე და ორსულად ხარო, ამცნო.

გაიხარა ქერმა. კიდევ მეტად ამაღლდა მიტო. შვილთა სიმრავლის კალთა დააბერტყა განგებამ.

- თოფის ხმა! ნეტავ, რა მოხდა?

- მიტოს მეორე ბიჭი შესძენია, მეზობლებო!

გავრძელება მე-11გვ.

შეთე გვერდიდან

მამის ნამღერი იაჰნანა



გავიხაროთ, გავახაროთ, მივულოცოთ. გმადლობთ, მეზობლებო. ჩემი ლუკას დამსახურებაა, ბედნიერი ფეხით შემოვიდა! მამ, კაცო, ე რა ფეხით შემოვიდა ოჯახში! ე კაცი არის სოფლის მომხედავი, ეგრე მგონია. ხუთი მყავს შვილიშვილი, მაგრამ რად გინდა? ჩემგან შორს არიან. ვინემ ცოცხალი ვარ, ვუვლი კარ-მიდამოს, მაგრამ, კაცო!.. ე რას მიშვებინან, ერთ დღესა რომ გადავბრუნდე და მოვკვდე. ვერცა გაიგებენ. დალოცვილი მეზობლები რო არა მყვანდნენ. არ უნდა ჩააქრო შენი კერია და მტერი არ უნდა გაახარო. დარინე, დოლი მოუტანე ბაღსა, ეხლა, მომავალ კვირას გარმონს ჩამოვუტან და უნდა ვასწავლო დაკვრა და სიმღერა.

მერმე ცეკვაშიდაცა ნავიყვანოთ. თურმე ჩვენს ბაღებსა განსაკუთრებით წვრთნიან. სულ ქალაქიდან ჩამოდიან მასწავლებლები. ხო ხედამ, ამ ჩვენს დალოცვილ სიმღერებს შორეულ იაპონიაშიდაც მღერიან ბიჭები. ახა დარინე, ნახე, ორი ძმა როგორ შეუნყოფს ხმებს ერთმანეთსა. მე ბანსა ვეტყვი და ჩვენი სიმღერის ხმა გამოაფხიზლებს მინდორ-ველებსა. აბა, გახედე ალაზანსა. ამ მხარეს შვილთა სიმრავლე სჭირდება და მათი წვრთნა ბუნებასთან უნდა იყოს შერწყმული. კიდევ სიხარული უნდა შეემატოს ამ ჭერსა. მე ვიცი. — არ იშლიდა მიტო. ლუკას სიზმარი ენახა, სამი ვაჟკაცი უფლიდა ეზოს. ორი წლის თავზედ ორი ვაჟკაცი შეეძინა მიტოუანთ. მაშინ გახალისდა ლხინი და ზურნების ჭყვი-

ტინი. მაშინ გენახათ მიტო გახარებული. უფროსი შვილი კარგად მღეროდა, მომდევნო ბაძავდა და თითქო გამოსდიოდა. ახლა პატარასაც შეაჩვევდნენ სიმღერასა და მაშინ გაიხარებდა მოყვარე და დაიბოღმებოდა მტერი ამ ტკბილ ხმაზედ. ვინც არ უნდა მოუსმინოს ქართლ-კახურ მრავალჟამიერს, არ შეიძლება არ ინატროს, ნეტა, ამ ხალხის ჯილაგისა ვიყოთო. ხალხი გაოცებას ვერ მალავდა, ისე გავდნენ სამივენი ერთმანეთსა. ისე დავაჟკაცდნენ და გაიზარდნენ, ყველა ამას იმეორებდა ხოლმე: აი, მიტომ რომ ვაჟკაცები გაზარდა; აი, მიტომ რომ შრომას შეაჩვია სამივენი; აი, მიტოს ვაჟკაცები როგორ მღერიანო. მიტო ჩაუვლიდა ვენახებსა, კვლავ ჩათესავდა ხნულში თესლსა და ლილინებდა, თავისას არ იშლიდა, ლილინის გარეშე მადლი არა აქვსო არაფერს! წლებმა თავისი გაიტანა. მოანია სიკვდილის ჟამმაც. — მგონი, მივდივარ, შეილებო! — ერთ დღეს წარმოთქვა სიტყვა მიტომ. არ დაუჯერეს ცოლმა და შვილმა. — ჯერ რა დროს შენი სიკვდილია, კაცო? ბიჭების დაქორწინებას ვერ უნდა მოესწრო? — არა, დარინე, რაღაცა ვერ ვარ კარგად. — ჩქარა გამოვარდნენ ვაჟები, ყოველი მხრიდან დაუარეს მიტოსა. ნამლები დააღვივნეს,

მოეფერნენ, ჩაეხუტნენ, მაგრამ იგი მაინც ვერ მოვიდა ჯანზედ. — მარტო დამტოვეთ, შეილებო, ჩემს პირველ ვაჟკაცთან ერთად. სიტყვა უნდა დაეუბარო ჩემებურადა. არ გამინაწყენდებით, ვიცი. უსიტყვოდ დაცალა ოთახი მიტოსი. დარჩა პირველი ვაჟკაცი ლუკა და თვითონ. — შეილო, მომეხმარე, რომ ნამოვჯდე! — ნუ, ნუ გეშინია, მამი! მითხარი, რა გინდა, ყველაფერს შეგისრულებ! — შენ დიდი რამ შემისრულე, ჩემო ვაჟკაცო! შენოდენა არავის გაუკეთებია ქვეყნად დედ-მამისთვის. ახლა იმას გთხოვ, ძმებს მიმიხედო და თქვენს შორის არ ჩახედო ეშმაკს. ისეთი ტკბილი ძმობა შეინარჩუნეთ, როგორცა ჩემს სიცოცხლეში გქონდათ. არ დაივიწყოთ თქვენი ძმობა, გახსოვდეთ ჩემი დანაბარები. ახლა მე უნდა ისევე გიმღერო იაჰნანა. იგი პირველად მაშინ გიმღერე, როცა შენ მოვევლინე ჩემს ოჯახსა. მას შემდეგ იაჰნანა არავისთვის მიმღერია, რადგან შენ იყავი ჩემი პირველი ვაჟკაცი. შენით შეიგრძნო ჭერმა უდიდესი სიხარული და გული მთხოვს, ვიმღერო იაჰნანა. ვაჟკაცსაც შეუძლია იგი იმღეროს იმ ხმაზედ, რომ შესძრას მთელი დედამინა და ჩააქსოვოს ტკივილი მშობლის სიყვარულთან ერთად. იაჰნანა არ დაივიწყო, შეილო და

იმღერე იმ ხმაზედ, რომელზედაც მღეროდა შენი მამა. ამ იაჰნანამ შესძრა შენს პირველ გამოჩენაზედ ჩემი გული და სული. ამ იაჰნანამ სამად შეგკრათ ძმანი. ლილინი აღმოხდა მოხუცს, რომელიც თანდათანობით ძლიერდებოდა. მონუსხულივით უცქეროდა უფროსი ვაჟი. რა ძალა მიეცა ამ დროს მომაკვდავს, ვერ გაერკვია, დაბნეულს უკვე მსხვილი ცრემლები ჩამოსდიოდა თვალთაგან და ვერ გაეგებდა, აჰყოლოდა მამის ნამღერ იაჰნანას ხმა შეენყო მისთვის, რადგან იგრძნო ეს მხოლოდ მიტოს სიკვდილის წინა საკუთრება იყო. ეს იაჰნანა ამნაირი ხმით შესრულებული არ მოესმინა ვაჟკაცს. ლილინებდა მიტო და იაჰნანის ჰანგებით იუღინებოდა ლუკა. შთაგონება მიეცა დიდი მამის ნამღერი იაჰნანათი. სრულად შეასრულა მიტომ იაჰნანა, არცერთი სიტყვა არ გამოტოვა. არ დაარღვია ტონალობა. გრძნობდა შვილი ამ სიმღერის ძალას და იცოდა, რომ მთელი ცხოვრება გაჰყვებოდა მეგზურად. დასრულდა იაჰნანა და მიტოს თვალები უფროსმა შვილმა დაუხუჭა... ცრემლები ვერ შეიკავა ვაჟმა და შეიერთა ძმათა ცრემლები... პირველი შვილის გაჩენისთანავე უფროსმა შვილმა ლუკამ, სახლში ჩაკეტილმა, უმღერა მას იაჰნანა. მიტომ ასე დაუბარა. არ დაივიწყოთო მამის ნამღერი იაჰნანა.

ღაიჯუსტი

იანუშ კორჩაკის 10 მცნება მშობლებისთვის:

- 1. ნუ ელოდები, რომ შენი შვილი იქნება შენნაირი ან ისეთი, როგორც შენ გინდა. დაეხმარე, რომ იყოს ის, რაც მას უნდა.
2. ნუ დააყვედრი ყველაფერს, რასაც მას უკეთებ. შენ მას სიცოცხლე აჩუქე, როგორ გადაგიხდის ამას? ის თავის შვილს გადასცემს სიცოცხლეს, ის შვილი თავის შვილს და ეს არის ბუნებრივი მადლიერების კანონზომიერება.
3. სხვის ჯავრს ბავშვზე ნუ იყრი, რადგან ის სუსტია. დიდი ხნის მერე მოხუცდები და შენც დასუსტდები და მოიმიკი, რასაც დასთეს.
4. ნუ გაქვს აგდებული დამოკიდებულება მისი პრობლემების მიმართ. ცხოვრება მისთვისაც ისეთივე რთულია, როგორც შენთვის. უფრო მეტადაც, რადგან მას არ აქვს გამოცდილება.
5. არ დაამცირო.
6. არ დაგავინყდეს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ბავშვთან შეხვედრაა. უფრო მეტი ყურადღება მიაქციე მას, რადგან ჯერ არ იცი, ვის ხვდები ამ ბავშვის სახით.
7. ნუ დაიტანჯავ თავს იმაზე ფიქრით, რომ შვილს რაღაც ვერ გაუკეთე, რადგან ყოველთვის ცოტა იქნება, სანამ ყველაფერს არ გაუკეთებ.
8. შვილი ეს არ არის ტირანი, რომელმაც ცხოვრება წაგართვა. შვილი - ეს არის ცხოვრების ნაჩუქარი წმინდა ჭურჭელი, რომელსაც უნდა მოუარო და შემოქმედებითად შეავსო. შვილი არ არის უბრალოდ „ჩემი ბავშვი“, ის დროებით მოსავლელად მობარებული სულია.
9. გიყვარდეს უცხო ბავშვებიც. სანამ გადანყვეტ, როგორ მოექცე, მათ ადგილას ყოველთვის შენი შვილი წარმოიდგინე.



10. გიყვარდეს შენი შვილი ყველანაირი - უიღბლო, უნიჭო, წარუმატებელი. მასთან ურთიერთობისას გაიხარე და გახსოვდეს - ეს ზეიმი შენთან გარკვეულ დრომდეა.

იანუშ კორჩაკი (ეს მწერლის ლიტერატურული ფსევდონიმი). მისი ნამდვილი სახელია პეტრიხ გოლდშმიტი) იყო როგორც ადამიანური ღირსების და კაცთმოყვარეობის, თავგანწირვის, ასევე პედაგოგიკური აზროვნების უდიდესი მაგალითი.

ეს ტექსტი პორტუგალიის რაფაელინგი სკოლაში გამოაქრეს:

საყვარელო მშობლებო! ჩვენ გვინდა თქვენ შეგახსენოთ, რომ ჯადოსნური სიტყვები, როგორებიცაა: გამარჯობა, მადლობა, არაფრის და ბოდიში, პირველ რიგში სახლში უნდა ისწავლებოდეს. ბავშვებმა სახლში უნდა ისწავლონ აგრეთვე, რომ ადამიანი გულწრფელი, პუნქტუალური, ბეჯითი უნდა იყოს, რომ მეგობრებისადმი და მოხუცი და უფროსი ადამიანებისადმი თანაგრძნობა უნდა ჰქონდეს, რომ მასწავლებლის მიმართ რიდი და პატივისცემა უნდა ჰქონდეს. სახლში სწავლობს ადამიანი, რას ნიშნავს სისუფთავე და სხეულის ჰიგიენა, რომ ადამიანმა საჭმლით სავსე პირით არ უნდა ილაპარაკოს და სად და როგორ უნდა გადაადგოს ნაგავი. სახლში სწავლობს ადამიანი: წესრიგს, საკუთარ და სხვისი ნივთების მოვლას და რომ არ შეიძლება სხვა ადამიანებზე ხელის შეხება. სამაგიეროდ სკოლაში ვასწავლით მშობლიურ და უცხო ენებს, მათემატიკას, ისტორიას, გეოგრაფიას, ფიზიკას, სხვა და სხვა მეცნიერებას და სპორტს. სკოლაში მასწავლებლები აღზრდას ვავრცობთ, იმ აღზრდას რომელიც წესით ბავშვმა საკუთარი მშობლებისგან უნდა მიიღოს.

მოამზადა ზურაბ ქობალია

აბჰისრულდა სანატრელი, საჭირო და საოცნებო



დიდი ხანა იგრძნობდა საქართველოს ისტორიის ცალკე საგნად სწავლების საჭიროებას. ეს ვითარება დროულად გაითვალისწინა განათლების სამინისტრომ და გადაწყვიტა მიმდინარე სასწავლო წელს სახელმძღვანელოს გამოცემისა და მისი ცალკე საგნად შემოღების პრობლემა.

დიდი ილია ბრძანებდა: ერის გათახსირება მაშინ იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს. დიდი ივანე ჯავახიშვილი კი ამბობდა დაახლოებით ამგვარად: ერის ისტორია უნდა იყოს მართალი, ობიექტური და არა კონიუნქტურას მორგებული, გადაკეთებული, გალამაზებული. ამ ჭეშმარიტებაში აშკარად იკვეთება ნიგნის უდიდესი მნიშვნელობა, მიზნები და ამოცანები.

ვერაფერს დავუმატებთ. დიდი მადლობა მე-9 სკოლის ისტორიის წამყვან პედაგოგს **შორენა ქვრივიშვილს** ამ სახელმძღვანელოს განხილვა-შეფასებისათვის.

რედაქტორი

ჩემი კოლეგები დამეთანხმებიან, რომ 2022 წლამდე, მე-10 კლასის ისტორიის სახელმძღვანელოები მოსწავლეებისთვის, ნაკლებად საინტერესო და მოსაწყენი იყო. მასწავლებლებს, დიდი ძალისხმევა გვჭირდებოდა რომ პროგრამით გათვალისწინებული მასალის მიმართ,

ბავშვებში, ინტერესი აღგვეძრა. წლების განმავლობაში არსებული საკითხი საკამათო და მსჯელობის საგანი იყო. ჩვენი მხრიდან მცდელობა არ დაგვიკლია, რომ ხმა მიგვეწვდინა განათლების სამინისტროსთვის, რათა ეს პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ მოგვარებულიყო, თუმცა უშედეგოდ.

როცა 2021 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ბატონ **მიხეილ ჩხენკელმა**, საჯაროდ განცხადება გააკეთა საქართველოს ისტორიის სწავლების გაძლიერების კუთხით, უკვე ნათელი იყო რომ ეს სიახლე მე-10 კლასის სახელმძღვანელოსა და მე-9 კლასის სახელმძღვანელოს შორის განსხვავება იქნებოდა, რადგან მოქმედი მე-7, მე-8, მე-9 კლასების არსებული პროგრამა ლოგიკურად გაგრძელებას მოითხოვდა. მართლაც, განათლების მინისტრის განცხადების საფუძველზე, ქართველ ისტორიკოსთა ერთობლივი მუშაობის შედეგად, ისტორიის სტანდარტი განახლდა და ჩვენდა სასიხარულოდ, ეროვნულ სასწავლო გეგმაში, „**საქართველოს ისტორია**“ და „**ისტორია**“ ცალ-ცალკე საგნად გაიწერა. ახალი სტანდარტი განკუთვნილია საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის, რომლის საფუძველზეც მომზადდა ორი კურსი: პირველი მათგანი „**ისტორია**“, რომელიც გულისხმობს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენების შესწავლას და მათთან საქართველოს ისტორიის საკითხების დაკავშირებას, მეორე კურსი კი „**საქართველოს ისტორია**“ ფარგლებში, სადაც აქცენტი გაკეთდა ქართული ისტორიოგრაფიისთვის აქტუალური პრობლემების კვლევის სიღრმისეულ გააზრებაზე.

ვფიქრობ ასეთი მიდგომით, მასწავლებლებსა და მოსწავ-

ლეებსაც შესანიშნავი საჩუქარი გაგვიკეთდა. თითქმის 10, 11 წელია საქართველოს ისტორია ცალკე საგნად აღარ ისწავლება, თუ არ ჩავთვლით მე-9 კლასში საქართველოს ისტორიის მთლიანი კურსის სწავლებას, რაც ყოველად გაუმართლებელია. ვფიქრობ, დიდი შეცდომა იყო ასე ერთბაშად საქართველოს ისტორიის შესწავლა, უამრავი ინფორმაცია ერთად თავმოყრილი (დასაბამიდან XXI საუკუნის 20-იან წლებამდე) მეთად ართულებდა პროგრამის სრულყოფილად ათვისებასა და დაძლევას. აქვე არ შემოიძლია არ ავლინონ წინა წლების, დაწყებითი საფეხურისთვის (V-VI კლასებისთვის) განკუთვნილი სახელმძღვანელო „**ჩვენი სამშობლოს მატთანე**“ **როინ მეტრეველისა** და **ბუბა კუდავას** ავტორობით, რომელშიც ბევრად საინტერესოდ იყო პატარებისთვის სამშობლოს ისტორია გადმოცემული, სახელმძღვანელო, მომდევნო კლასებში, საქართველოს ისტორიის შესწავლისთვის სწორ მიმართულებას და განწყობას უქმნიდა მოსწავლეებს. თუმცა მე-7 კლასის პროგრამა ვეღარ მოდიოდა შესაბამისობაში დაწყებით საფეხურზე განვლილ პროგრამასთან.

ამჟამინდელი მე-10 კლასის სახელმძღვანელო შდგენილია პრაქტიკოსი პედაგოგების ავტორობით, რომლებსაც ამ სფეროში აკადემიური ცოდნა და გამოცდილება აქვთ. (ავტორები: **ნატო ახმეტელი**, **ბესიკ ლორთქიფანიძე**, **აკაკი სადუნიშვილი**, **მაია ღამბაშიძე**, **ნიკოლოზ მურღულია** (გამომცემლობა „დიოგენე“) ასევე **მზია სურგულაძე**, **გიორგი არქანი** (გამომცემლობა „ლოგოს პრესი“) ასევე მნიშვნელოვანია რომ მე-10 კლასის სახელმძღვანელო ითვალისწინებს სას-

კოლო გამოცდილებას, აგრეთვე სამომავლოდ, საუნივერსიტეტო კვლევით უნარებს და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

მე-10 კლასის პროგრამა იწყება პრეისტორიული ხანიდან და სრულდება XI საუკუნემდე. სახელმძღვანელო ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი IV საუკუნემდე პერიოდს მოიცავს. აღსანიშნავია რომ გათვალისწინებულია, როგორც ტრადიციული, ასევე უახლესი მეთოდებით სწავლება. სახელმძღვანელო დახუნძლულია ნერილობითი წყაროებით, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება ისტორიული მოვლენების/პროცესების აღმნიშვნელი ფაქტების საკუთარი თვალთ წაკითხვაში, გააზრებაში, შედარებასა და დასკვნების გამოტანაში. ასეთი მეთოდით სწავლება კი მოგვხსენებთ, მოსწავლეებს უფიქრებთ ლოგიკურ მსჯელობას და კვლევით უნარებს. ნიგნში თანდართულია ახალი და უახლესი არქეოლოგიური არტეფაქტები, საკმაოდ დიდი ზომის რუკები, რომლებიც უკეთ აღქმადია. საგულისხმოა, რომ თითოეულ თემაზე სამუშაოდ მოსწავლეს და მასწავლებელს არ სჭირდება დამატებითი რესურსების მოძიება. სახელმძღვანელო მდიდარია ილუსტრაციებით, მრავალფეროვანი რუბრიკებით და დავალებებით. სახელმძღვანელოს ახლავს **მოსწავლის რვეული**, რომელიც მათ ეხმარება თითოეული თემის უკეთ აღქმასა და გააზრებაში. აგრეთვე იგი მასწავლებლის ნიგნია, რომელშიც თანამიმდევრულადაა ნარმოდგენილი საგნის სწავლების მიზნები, საქართველოს ისტორიის კურიკულუმი, მატრიცები, სასწავლო მეთოდები და ა.შ.



ვფიქრობ, თუ მოსწავლეები, მე-12 კლასის ჩათვლით, ასე დეტალურად და საინტერესოდ გააგრძელებენ საკუთარი სამშობლოს ისტორიის სწავლას, მიზანი მიღწეულად ჩაითვლება. იმედია, წინა წლების გამოცდილება არ განმეორდება და მე-11, მე-12 კლასების სახელმძღვანელოები ვინრო პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე არ იქნება შედგენილი, რაც იმისი საფუძველი გახდება რომ ხელისუფლებაში ყოველი ახალი ძალის მოსვლა სახელმძღვანელოს შეცვლას გამოიწვევს, ეს კი მომავალ თაობას ობიექტური ცოდნის მიღებაში ხელს შეუშლის, არ მისცემს საშუალებას სწორად გაანალიზონ საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული სოციალური და პოლიტიკური მოვლენები/პროცესები.

შორენა ქვრივიშვილი

რედაქტორის მინაწერი: ისტორიის პედაგოგებო, მოგიწოდებთ, გამოეხმაუროთ ამ ბრწყინვალე რეცენზიას! ამასთან ერთად მადლობას მოვასხენებ სკოლის, დირექციას და განსაკუთრებით დირექტორს, **მარინე გიგაურს**, რომლებიც ხელს უწყობენ მასწავლებლებს ინიციატივების რეალიზებაში.

სასაცილო და სატირალი სატირის სტილი

„ერთი პატარა მანანა ხან ბაიციინებს, ხან - არა“

როდის?

ხან მონაფე ვართ, ხან მას გვაძლევენ, ხან პერსპექტივას, კანდიდატი კი აღარ გვეღირსა, ნეტავ, რა ქვია ამ დაპირებას? ამდენ ლოდინში გათვრდა წვერი, როდის გავხდებით ნამდვილი წვერი?

ბუცილია

დედა მიხოს ეკითხება: ჩემო კარგო მიხაკო, ვიცი ბლომად ჭამა გიყვარს, ვახშმად რა მოგიხრაკო? - ძან მიყვარს, გაგიყვებით, კუჭმაჭი და ხინკალი, სხვა გუნებაზე დავდექი, დღეს ვარ ნაინტრიგალი. ჭამა, ჭამა, მსუნაგობა, მისი მადა უღევია და შეარქვეს ექიმებმა, მსუნაგობას ბუცილია.

ოლიგარქი

ვინც ატეხა ბიძინაზე დღეს ამდენი ბუქი-ბაქი, არანაკლებ ასჯერ მეტი, მათ თავად ჰყავთ ოლიგარქი.

რომელი პარტია?

მილიონებში ცურავდნენ ბოლოსდაბოლოს, ბოლოს კი მათ სანატრელი გაუხდათ ოსპის წვენი და ბოლოკი. ეს კი რამ გამოიწვია? „ლებედ, რაკმა და შუკამა“, სხვის ლანძღვამ, ჯღავილ-გინებამ, სირბილმა შუკა-შუკამა.

რას უზამენ?

ზალკანიანს რომ წამოცდეს, ხმას აღარ მივცემ მე ამ ჯოს, რესპუბლიკელს მივემხრობი, რესპუბლიკელს გაუმარჯოს! კანდიდატი არის ერთი, და „მინ ტრამპ პირ ეს ლებენ!“ რას უზამენ ჩვენსა ელჩსა? გამოაბუნძულებენ.

ლორბისტი

მხარი იმას დაუჭირა, რატომაც არა, არაო,

ქრთამი ჯოჯოხეთი ანათებს, ჩემთვისა ესეც კმარაო.

წრუპაჭრიოტი

ესლა არის, ჩემო კარგო, ქველმოქმედი ვარო სარგო ორი ძირი ნერგი დარგო, ტრაბახობს და თან გვპირდება, ვიცი დღეს მე ვის რა ვარგო.

მოსე მწერალი

მასწავლებელი, მუშაობელი

ნონა ჯანაშია



ბავშვობაში მიღებული შთაბეჭდილებები ადამიანს მთელი ცხოვრება გაჰყვება და ხშირად აბრუნებს უკან... ბავშვობაში ჩემი მოსწავლეებიც მამრუნებენ. შეიძლება ითქვას, რომ მე ბავშვობაში უფრო მეტხანს ვცხოვრობ, ვიდრე მომავალზე დიდობაში...

არავინ იცის, ვინ როგორს დაგვიმასხვავებს. ..რომელი ბავშვის სულში რა კვალს დატოვებ...

...მცირედ უნესრიგობასაც ვერ ითმენდა და კვილით კედელს აზანზარებდა... იმდენად ხმადაბლა ლაპარაკობდა, რომ შიშობდი, რამე არ გამოგპარვოდა და გაფაცვიცებით უსმენდი... იმდენად მოტივაციას გიქმნიდა, რომ მშობლები გთხოვდნენ, წიგნს მოშვებოდი და დაგესვენა... გაკვეთილს იმ კერძების ჩამოთვლით იწყებდა, თავის შვილს რომ უმზადებდა და დილიდანვე აძლევდა... თვლიდა, რომ სოფელ ბავშვებს ასე არ ანებივრებდნენ... და თვალდათვალ გიმსხვრევდა მითს პედაგოგის უჭმელ-უსმელობასა და, აქედან გამომდინარე, ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების უქონლობაზე... ისე გიყვარდა, რომ დღეში ასჯერ ასხენებდი მშობლებთან, თან მოფერებითი სახელებით... შენი მამიდა რო ჰყვარებია ოდესღაც და მისი გულგრილობის გამო ჯავრს შენზე იყრიდა, მუდამ რომ გაკვირდებოდა და მასთან შენი მსგავსება რომ აცოფებდა... მარტოხელა, უშვილო, ფარულტყვილებიანი, მუდმივად შეყვარებული და

გამოპრანჭული, მკაცრი, ნკე-პლამომარჯვებული და მაინც-საინტერესო... თითოეულმა მათგანმა საგანზე არანაკლებ მასწავლა ცხოვრება, როგორი უნდა იყო ან როგორი არ უნდა იყო... ეს არაა განსჯა... მათ სულელებ ვეფერები... და მაინც, მაკლდა ის, რაც დღევანდელ ბავშვებს ჭარბადა აქვთ, უფლებებზე არავინ გველაპარაკებოდა და არასდროს არაფერზე გამომიტყვამს პრეტენზია... არა და ცოტათი გული მწყდება ამ უფლებების და მოვალეობებით დახუხუხების გამო... ასე იყო მაღალ კლასებში...

დაწყებითი კლასები კი მთლიანად ბედნიერების ხანა იყო, ერთადერთხელ მივიღე პირველკლასელმა ქართულის წერაში 4, მასწავლებელს არ მოეწონა ჩემი დაწერილი წინილა და მახსოვს, სანამ არ გამოვასწორე, გულს ვასკდებოდი... მას შემდეგ 4 არ მიმიღია, დედა მინერგავდა, რომ არ მიმელო ფრიადის გარდა სხვა ნიშანი... ეს არ ყოფილა ადვილი და... ახლა მე ვთვლი, რომ პატარა თითუნებით რომელიმე ასო მართებულად თუ ვერ დაწერეს, ამისათვის არ იმსახურებენ ნიშნით დასჯას... მახსოვს, გამრავლების ტაბულაზე მუშაობა... 8 ჯერ 7-თან და 9 ჯერ 6-თან ნამით ვყოფნდებოდი და ასეა დღესაც... დაწყებით კლასებში ახლა ნიშნით არ ფასდება ცოდნა, მაგრამ ეს პერიოდი განმავითარებელი კომენტარებით მუდმივ ზრდასა და განვითარებაზეა ორიენტირებული... 5(ფრიადი) ...კი ყურში შიშინით მახსენებს თავს... 5(ფრიადი) ე.ლურნკაია, 5(ფრიადი) ჟ. ფიფია, 5(ფრიადი) კ.ლეთანძე, 5(ფრიადი) მ. შენგელია... ამას ტრაპაზით სულაც არ ვამბობ, იმ ადამიანებს არ მინდა დავუკარგო შრომა და თავგამოდება, რომლებიც

მასწავლიდნენ... ყველა სიკეთე მაღლიერებით მინდა დაუფასდეთ ამ დიდებულ ადამიანებს, კარგ აღმზრდელებს და პროფესიონალებს.

როგორი თაობა მოდის, თქვენი აზრი ამის შესახებ, რომ მეკითხებიან, ვპასუხობ, ძალიან ნიჭიერი, მოაზროვნე და მოსიყვარულე... ამასწინათ პირველ კლასში კოლეგის ნაცვლად ვატარებდი გაკვეთილს... ერთმა მოსწავლემ დღის ბოლოს ზღაპრის მოყოლით გამოაცხადა... მეორე ნამოხტა, მსახიობივით გამოთქმით თქვა, ვაიმე, მე რომ არ ვიცი, რა ვქნა... ცოტა დაყოვნების შემდეგ კი განაგრძო, თუმცა, ახლავეო (მისთვის არაფერი არ მიკითხავს) დადგა და ადგილზე შეთხზა მშვენიერი ზღაპარი, თან გამოთქმით საუბრობდა, არც ინტონაცია გამორჩენია და არც შესაბამისი მიმიკა... გაბრუნებული გამოვედი გაკვეთილიდან... ჩემი მასწავლებლები რას იტყოდნენ, მაინტერესებს... ნეტავ დამასწრო ისინი გაკვეთილებზე... განსაკუთრებით თამარ მასწავლებელი, იმდენად ხმადაბლა ლაპარაკობდა ეს კოპნია ქალბატონი, მეშინოდა რამე ვერ გამეგო და სმენადქცეული ვუსმენდით მეც და ჩემი ტოლებიც. ახლა კი მეთოდების და სტრატეგიების მონაცვლეობისას რამდენჯერაც მიწევს ხმის ამალება, იმდენჯერ მახსენდება ის სულკურთხეული ადამიანი... და ჩემს თავზე ვმუშაობ მისი მეთოდებით...

ბავშვებს მრავლადა აქვთ ილუსტრირებული და მიმზიდველი წიგნები... მაშინ... სკოლაში მაკულატურას ვაგროვებდით, ყველას უნდა მოგვეტანა... მოვიტანეთ, ვინ რა და ვინ რა და ერთ-ერთ ოთახში დავახვავეთ... ცნობის-მოყვარეობა აღძრულს, თვალი

იმ წიგნებისკენ გამიბოდა და კინალამ დავივლამე იქითკენ ყურებით, ვნატრობდი, ჩემ გემოზე მქონოდა და ამერჩია სასურველი წიგნები... თამარ მასწავლებელმა ჩემს თვლებში ამოიკითხა ყოველივე... ბავშვები რომ წავიდნენ, დარჩენა მთხოვა და ნება დამართო, ამერჩია სასურველი წიგნები და შინ წამელო, დიდი სიამოვნებით გრუქნიო... მეხუთე თუ მეექვსე კლასში ვიყავი მაშინ... ასე შეიქმნა ჩემი პირველი ბიბლიოთეკა... ნაკითხულის შესახებ კი ანგარიშს ვაბარებდი ჩემს სულიერ მოძღვარს, თამარ მასწავლებელს... მას შემდეგ ყოველი წიგნის შექმნისას, თამარ მასწავლებელი მიდგას თვალწინ... უამრავი წიგნი შევიძინე მოსწავლეობისას, მას შემდეგ... მაშინ კი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო წიგნების ქონა... პირველი წიგნი, რომელიც იქ ავიღე, იყო იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, 1876 წლის გამოცემა... ე.ი. პირველი... ყდამოგლეჯილი და რამდენიმე ფურცელმომწვარი... დღემდე სათუთად ვინახავ და ვუფრთხილდები... უმრავლესობა იყო მიძღვნილი და საუკეთესო სურვილებით... ამ ადამიანების სახელებსაც ვესათუთები მე, მათთვის ვილაც უცნობი... რისი თქმა მინდა, იაკობის „დედა ენა“ რომ ჰქონდა ვილაცას ჩემს სოფელში და რომ არ იცოდა იმ ოჯახმა მისი ფასი, იმ წინაპრის ფასი, ვისგანაც ეს დიდი საგანძური ერგო, ეს ცუდია, უნდა იცოდეს მოზარდმა, ვისი გორისაა“, რომელი ქვეყნის, რა ფასეულობების მატარებელი ერის შვილია... და ამის სწავლა ოჯახიდან პირადი მაგალითით იწყება და არა „წიგნების მდიდრული სარკოფაგებით“... და ისევ იმ პატარა მოსწავლეს მივუბრუნდები, ადგილზე

რომ შემითხზა ზღაპარი, მის ემერჯენტულ წიგნიერებას, იმხელა ზღაპარს დამოუკიდებლად ხომ ვერ წაიკითხავდა და გამოსავალი იპოვა- შეთხზა სახელდახელოდ. ყველა ბავშვშია მონაცემები კითხვის და წერის სასწავლად... ასე წიგნს დაიკავებდნენ და ვითომ კითხულობდნენ პატარები ჩემს ოჯახშიც, ასევე წერდნენ ვითომ-ვითომ რაღაც „ბაძღურებს“... მთავარია შევავაროთ და ნიშნებით არ შევაშინოთ. მთავარია, მივცეთ კარგი აღზრდა... თუ ყველა საგანი ერთნაირად არ ეყვარება, ეს არაა უბედურება... კარგ მასწავლებელს შეუძლია ყოველ მოსწავლეში წინასწარ განწყობის სახით მოცემული ნიჭიერება აღმოაჩინოს რაიმე საქმის მიმართ და ხელი შეუწყოს მას განვითარებაში... მშობელი უნდა მიენდოს ასეთ მასწავლებელს და ეჭვი არ შეიტანოს. სრული ნდობა აუცილებელია კარგი შედეგების მისაღებად... მშობელიც უნდა აყვარებდეს შვილს მასწავლებელს... ბავშვებს ის უყვართ, ვინც მათ მშობლებს, განსაკუთრებით დედიკოებს. მიხარია, რომ ნიშნებს არ ვწერ, რომ არ ვდგავარ ამ დილემის წინაშე...

სხვადასხვანაირად დამიმასხვარებენ, მაგრამ მთავარი სიყვარულია... უსიყვარულოდ კი „მხოლოდ რვალი ვარ მოჟღერილი, მხოლოდ წკრიალა წინწილი“... და კიდევ, ყოველ შექებაზე რომ გამოიბრუნოს და ხელებს მიკოცინოს პატარა, მისი სიტოზი დამყვება დიდიან დღემდე...

მშობლებო, შეაყვარეთ ბავშვებს მასწავლებლები. ბავშვები დიდი ადამიანები არიან. არ შეუშალოთ ხელი მათ დიდ ადამიანობაში.

„სდექ, წითელია!“

გვჩვენებია პედაგოგებს სიამაყენარევი საუბრები ნამონაფრების შესახებ... არც ის ყოფილა გამონაკლისი... სასიამოვნო მოსაუბრე იყო, ნაკითხულ წიგნებსა და მათ ავტორებზე მსჯელობა უყვარდა... არ გაგიკვირდეთ, ფიზკულტურის მასწავლებელი იყო, ნაღდი პროფესიონალი, ფიზკულტურის ინსტიტუტდამთავრებული, მძლეოსანი, ბევრი დამსახურების მქონე, ათლეტური აღნაგობის. სულ ერთ ფორმაში იყო... უცვლელად... 80 წლამდე არ შეტყობია ასაკი... შეეტყო და წავიდა... ინსულტთან ბრძოლაში გაიღია...

ნამონაფრებიდან ვისაც ამოჩემებულად აქებდა, მწერალი **გია ხუბუა** იყო... გიას მასწავლებლებიდან მხოლოდ ის იყო შემორჩენილი... აქებდა, აქებდა, აქებდა უსასრულოდ... 10 წიგნის

ავტორია, ყველა მისასხვარაო, ჩინებულად წერსო, ყოველმხრივ ნიჭიერი ადამიანიაო... ენგურჰესში მუშაობსო... ჰყვებოდა და ჰყვებოდა მის შესახებ სიამაყით... კვლავ აზრზე არ ვიყავი, ვინ იყო ბატონი გია. ფეის სივრცეში დავუშეგებოდი **გიგლას** რჩევით ზუგდიდის მერვე სკოლა დამთავრებულს...

სკოლის ბიბლიოთეკაშიც აღმოვაჩინე ბ-ნ გიას ნასახსოვრები რამდენიმე წიგნი... სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი ავტორის მდიდარი ქართულით, პერსონაჟების ხატვის ოსტატობით, თხრობის მანერით, გულწრფელობით...

ფეისზე დამეგობრებულები გიგლამ შეგვახვედრა ერთმანეთს თავისივე გასვენებაზე. კოლეგებთან ვიდექი, მოგვიახლოვდა, ერთბაშად ამოვიცანით ერთმანეთი. ის აფხაზეთიდან გადმოვიდა,

მერვე სკოლის პედაგოგებთან ერთად გააცილა ყოფილი მასწავლებელი... იმდენად ახლობელი და სასიამოვნო ადამიანი აღმოჩნდა, გიგლას ქებასაც კი გადააჭარბა „ნახვა სჯობდა ქებასაო“ - გამართლდა. იქვე გვისახსოვრა (მანქანაში ჰქონია) თავისი ნოველების კრებული „**სდექ, წითელია!**“ ავტორგრაფით.

4 ათასამდე წიგნი დაუტოვა შვილებს და შვილიშვილებს... ორასი, სპორტის შესახებ გამოცემული ლიტერატურა ზუგდიდის მუზეუმს უსახსოვრა... ჰყვებოდა, იშვიათი გამოცემები იყო... წავიდა და წავიდა... საპატრულო პოლიციასთან, არ მახსოვს რომელი სასაფლაოა, ბოლოდან მეორე რიგში დაემკვიდრა... იქ დახვდებოდა ჩვენი სკოლის ახლახან წასული მათემატიკოსი **ნუნუ გოგუა**... იქაც იქნებოდა სულ-

თა ზეიმი, როგორც გიას გაცნობით დავგიტოვა აქ დარჩენილთ...

გია ხუბუას „სდექ, წითელია!“ ჰქონდეს ამ ამბავს სათაურად... ზღვრის გადალახვა მხოლოდ აღზრდილის ქები-სას გვეპატიება, რადგან თავდაცვ გვინდა ნამონაფრის კარგი საქმეებით თავიც დავიფასოთ... სხვა შემთხვევაში კი ზომიერება გვმართებს, ადამიანებო! „სდექ, წითელია! სიკვდილი კი მოგონილი ჭორია მხოლოდ.

ლმერთს ვებარებოდეტ წასულებიც და სხვადასხვა დრომდე დარჩენილებიც...

ნონა ჯანაშია,

ქ. ზუგდიდის მე-8 საჯარო სკოლის მასწავლებელი



გიორგი ალნიაშვილი

ჩემს შვილიშვილს
ელონას

ლექსებს ჩამოვქნი თაფლის სანთლებად,
სიტყვებს აგინებ კელაპტრებივით,
შენ სისხლო ჩემო, სულ ერთი ციდა,
შენი ხმა ტკბილი ზარზმის ზარივით.

ნორჩი სიცოცხლის ტურფა აკვანო,
ბედნიერების პატარა გუნდა,
ნორჩი ვენახის ტკბილი მტევანო,
ფილა ღვინით დაგლოცო მინდა.

ლექსებს ჩამოვქნი თაფლის სანთლებად,
ხატთან ავანთებ ჩემს ლოცვად ჩემო,
ყველგან ვიქნები შენთვის თავდებად,
შენ მაგრძნობინე სიცოცხლის გემო.



მარინა მანჯგალაია-თამაშაშვილი

სიყვარულის ისტორია...ები

ქარი დაძრწის და ხის ფოთლებს აფრიალებს სადღაც,
ყოველ დილით მიუყვება, ქობულეთის აღმართს,
ყვება, ყვება უსასრულოდ, ლამაზ ნყვილთა წარსულს,
ინგასა და კუკარაჩას, სიყვარულის ამბავს...

ახსოვს, იცის, თვალწინ უდგას უსასრულო ლტოლვა,
უთვალავი წითელ ვარდთა გაფანტული ქროლვა,
სიყვარული, როგორც ორთა გამხელილი კერპი,
და „მურტალოც“ ბედისწერის უცნაური მსხვერპლი...

ვის გულს, როგორ მოემართა სიყვარულის ქნარი,
ფუფალამაც ხომ მიუძღვნა, მის შიოლას თავი,
ბროწეულის აალება, ატმის ყვავილობა,
მარიტასა და გედიას მწარე რეალობა...

მთვარე ყვება, მომხრე არის, ერთგულების ფიცის,
არსაკიდის და შორენას სიყვარულიც იცის,
ქარაფებზე შერჩენილი ხატაურის ფარჩა,
ლამაზ ზღაპრად შეწირული, ისტორიას დარჩა...

და ენგურის ნაპირებზე, მოტაცება მთვარის,
არაბიას სისპეტაკე, აგონია ღამის, თვალზე,

ცრემლი შერჩენილი, ვაჟკაცური კრძალვის,
უიმედო სიყვარული... თარაშის... თამარის..

ქარი დაძრწის და ხის ფოთლებს,
აფრიალებს სადღაც,
ალარ იცის რას ეცეს და..
ალარ იცის რა ქნას...



ნათია სირაქა-კაშიკა

ნამიყვანეთ „ჰიმალაის“
მთებში

ნამიყვანეთ „ჰიმალაის“ მთებში
მინდა ვიყო თქვენგან ცოტა შორად,
ნამიყვანეთ დასავარცხნი თმებით,
ნამიყვანეთ, თუ ძალგიძთ და შნო გაქვთ.

ვერ დავრჩები აქ, შემოპყრობს სევდა
უშბას, შხარას ვერ გავანდობ დარდებს,
თუ არ წავალ „ჰიმალაის“ მთებში,
გაზაფხულზე დავკრეფ „დამჭკნარ“ ვარდებს.

მე იქ მინდა, სადაც ცაა ახლოს
მერცხლის ნაცვლად, არწივი რომ ფრინავს,
სადაც ძეხორციელი არ სახლობს...
- რა მოხდება? დაველოდოთ „ფინალს.“


მოვიცილებ მე იქ „ჭუჭყს“ და ვარამს,
რითაც ტანი დამიმძიმეს ერთობ,
ვენაცვალე ჩემს „ნიჭიერ“ კალამს,
- რა დიდი ხარ შენ, უფალო ღმერთო!

ალარ მინდა, ამოვიდა ყელში,
ხომ დამლალა ტკივილებში ყოფნამ,
არაფერი მინდა მთების მეტი,
არც ქალაქად და არც ყოფნა-სოფლად!

ზოგჯერ მოვლენ მთების სანახავად,
მოდგმა კაცთა - ათას ცოდვით სავსე,
შემეცოდებიან, მაგრამ რა ვქნა?..
შევთავაზებ რამე - ცხელ ცხელ სასმელს.

რადგან ყინავს „ჰიმალაის“ მთებში
თოვლის საფარს დაუფარავს მიწა,
მე კი ვარ ჩემს „უთბილეს“ კარავში
არ ჩამომდის არც თოვლი, არც წვიმა.

ნამიყვანეთ „ჰიმალაის“ მთებში
მინდა ყველასთან რომ ვიყო შორად,
- ხედავთ? უკვე დავივარცხნე თმები...
ნამიყვანეთ... თუ ძალგიძთ და „შნო“ გაქვთ!!!



ლალი ზირაქაშვილი

კახეთი...

მანც გილიმიან მაღლიანად,
გულს არ გიჩვენებენ დარდიანს.
სუფრას გაგიშლიან, ბარაქიანს,
გულსაც ფიანდაზად გიშლიან...

ლიმილს უშურველად მოგაგებენ,
სათქმელს პირდაპირ გეტყვიან,
ვაზივით გამძლე სული აქვთ და
არ გადავშენდებით - იციან...

მათი თავგანწირვა ისტორიას,
დღესაც გულზე დაღად ატყვია.
ეს ხომ კახეთია და კახური,
მანც, ყველაფერი კარგია...

შოთსაც გატეხავენ, მოგართმევენ,
იციან რამხელა მაღლია.
სამშობლოს სადღეგრძელოში,
ბევრი უნაპირო ცრემლი აქვთ.

ივრის პირებთან აფრენილი
ხოხბების ლამაზი გუნდია...
იქით, წინანდლის ედემია
აქეთ - ალაზნის ველი აქვთ

და მის შუაგულში გედივით -
ძირძველი, ალავერდის ძეგლია.
ეს ხომ კახეთია და კახური,
ყველგან ყველაფერი კარგია!

მანც გილიმიან მაღლიანად,
გულს არ გიჩვენებენ დარდიანს!

უკვე გავიარე
გასავლელი...

უკვე გავიარე გასავლელი,
ალარც ბავშვი ვარ და არც მოხუცი,
მე იმ გაზაფხულის მეშინია -
თოვლმა რომ მომიკლას ენძელები...

ალარც უსაშველოდ დიდი ვარ და
ალარც ბავშვი მქვია -- გუშინდელი,
მე იმ ტალღებისა მეშინია,
როცა ზღვას აღელვებს ქარიშხლები...

უკვე გავიარე გასავლელი,
ვნახე -- ღიმილიც და ქარიშხლებიც,
ზოგან წვიმამ მითხრა სათქმელი და
ზოგჯერ მზემ გამითხო, სუსტი მხრები...

უკვე გავიარე გასავლელი -
ენერო ახლა მინდა მოთხრობები,
როცა დრო დადგება გავისხენო
ჩემი პროლოგი და ეპილოგი!



ნინო შიკლაური

შენ ხარ მსოფლიო

შენ ხარ მსოფლიო, ჩატეული უფლის ნამნამში, მზის ათინათში შემჩნეული აღმასი, ლალი, შენ ხარ ჰაერი, სიყვარულით გაჯერებული, ბედნიერება, დღესაც შენით დავდივარ მთვრალი.

შენ ხარ მსოფლიო ჩემი გული, ჩემი ფიქრები, ხარ უსასრულო ნეტარება ყოველი დღის და თუ ოდესმე მე შენ გვერდით აღარ ვიქნები, სიცოცხლის ფერი დაგმშვენებს უხილავ ბილიკს.

* * *

შიში სიცოცხლის, შიში სიკვდილის, შიში დაკარგვის რწმენის, ვინრო ბილიკზე, ვინრო სავალზე, გონებით ფიქრი მელის... თმენა ტკივილის, თმენა სიყალბის, ვალდებულება თმენის, ღმერთო მაღალო, ღმერთო ძლიერო, გამაძლებინე ბევრის.

მე მაპატიე

მახათას გამოვეშურე, შენც მოუყვები აღმართს, მე მაპატიე ცრემლები, რომ გისველებენ მაგ თვალს. შემინდე, რომ ვარ დაღლილი და შევეფარე ამ მთას, დღეს გავაჩერე სამყარო, საყვედური რომ არ თქვას. მე მაპატიე ცრემლები, რომ გისველებენ მაგ თვალს.

ფშავლებს

(ექსპრომტი უძილაურებს)

მოხდენით დგახართ ვაჟნო მთის ჯიშის, თვალნი ამხელენ მზერას და ძალას, ბაგეს ღიმილი შვენის ვით გიშრის, მძივი თეთრ ყელზე მოხდენილ ქალას.

ჯიში, ჯილაგი, შერწყმული გენში, აღვივებს ფესვებს ქართული მიწის, მრავალუამიერ თქვენი სიცოცხლე, ვაჟკაცობა და ფშავლური ფიცი.

დაგლოცოთ დიდმა კოპალას ხატმა, ლაშარისა და თამარის ჯვარმა, სანთლად ავენთე, დაგენაცვლებით, იმრავლოს თქვენმა ჯიშმა და გვარმა.

სამტრედია ქალაქი

მზემ ფერადი სხივები, დედამინას მოჰფინა, ციდან წვიმის წვეთები, წკაპა - წკუპით მოფრინავს.

დილა გათენებულა, საარაკო მხარეში, სამტრედიავე, თბილგულავ და მუზათა ზღვავ ლექსის.

სამტრედია ქალაქი, იმერეთი, მზე, გული, სიყვარულის ალაგი და ყველასგან ქებული.

ბათუმს

ბათუმს ჩამოველ აღერსად, ზღვას რომ შევახო თითები, მუზა მოვიხმო და ლექსად ავათამაშო თითები.

ჩამოვეუკონო მზეს სხივი, ნაპირს დავთვალო კენჭები, ყელზე მოვირგო ეგ მძივი და გადავინსლო ეჭვები.

ბათუმო, მოგესალმები, ბათუმო, გულში ჩამიკარ, გადმოაფინეთ ალმები სიცოცხლევე, ისეც წამი ხარ.



თაონა მესარაშვილი

ო, ეს ღამე

ო, ეს ღამე, შობის ღამე... სევდითა და იმედით! მოდიოდა ციდან ღმერთი მაცხოვარი, მხსნელი... მოდიოდა და იქ ცაზე აკაშკაშდა ვარსკვლავი... ამ ღვთიურმა და წმინდა დღემ ჩვენ გვიჩვენა მიზანი. სიკეთე და სიდიადე იყოს ჩვენი გზისანი... დიდება ღმერთს! და ამ ღამეს, აგხდენოდეთ ყველა თხოვნა ღვთისადმი!



თაონა მესარაშვილი

ახლას სავსე ხართ, თორღვა და გურამ?

უფროსი თანამოკალმეების: გურამ ჭავჭავანიძის და თორღვა თილილაურის ხსოვნას!

ჩემში რამდენჯერ მოგვკალ "მეები", დრო-ჟამის მრუდე, მოშლილ სასწორთან, ძმები დავკარგე, მოკალმეები, მათი სულები მინას გამოორდა.

მითხარ სადა ხართ, თორღვა და გურამ, იქ ზეციურში რაზე ოცნებობთ? გზები რიკოთის მოლღვა და სურამს, ხომ არ წამოხვალთ, ძმებო მგოსნებო?

სადა ხართ ახლა? თქვენს სავალს ვეძებ და წლებს ნაცხოვრებს თქვენგან კაცურად, უთქვენობა სჭირთ ჩემს ბებერ ვერძებს, მთვარემ უთქვენოდ ვეღარ გაცურა.

წახვედით ძმები, მოკალმეები, მეც მარტო დავრჩი ჟამის სასწორთან. ჩემში იმდენჯერ მოგვკალ "მეები", რომ დედამინაც მგონი გასწორდა.



მითხარით რაა, უთქვენოდ ლექსი, ან ეს მინა და ოქროს ყანები, სულში გათოშილ ბელურას ესმის ზეციურში, რომ გეთაყვანებით.

საით გაფრინდა "ჟღალი მიმინო", არც გათოშილი არ სჩანს ბელურა. დღეს ზეცას უნდა მოვანვიმინო, სულებს ცაში, რომ ესაფეხურა.

საით ხართ ძმებო, თორღვა და გურამ? ვეღარ გიბრუნებთ დაკარგულ წარსულს. ახლა რიკოთიც მოლღვა და სურამს, წასვლა უთქვენოდ, მომკალ და არ მსურს.

არ სჩანს ბელურა და ახალ თოვლზე, ვერც თქვენი ვპოვე ნაფეხურები. შორით დავლანდე რღვეული კიბე, ჩამომტვრეული საფეხურებით.

მივალ უთქვენოდ სურამს და ბებნისს, თან გათოშილი მიმყავს ბელურა. თქვენს ნატერფალებს ძველ თოვლში ვძებნი, აქ მინაზე რომ საბნად გეხურათ... სადა ხართ ძმებო, თორღვა და გურამ?....

ვლადიმერ მარლანია - 95 ღვთისმშობლის დღის მიხედვით



ოჩამჩირეს სპორტული სკოლის აღზრდილმა ამ შესანიშნავმა მეკარემ ძალიან ადრე მოიპოვა საყოველთაო აღიარება. იგი 19 წლის იყო, როცა თბილისის „დინამოში“ მიიწვიეს და 1948 წლის ჩემპიონატში პირველივე მატჩიდან ძირითად შემადგენლობაში დაიკავა ადგილი. გაბედული, ლამაზი და მოხდენილი თამაშით, რომელსაც საფუძვლად საოცარი სისწრაფის რეაქცია ედო, პოპულარობა მალე მოიხვეჭა. თერთმეტი სეზონის განმავლობაში (1948-1958 წწ.) სსრ კავშირის პირველობაზე 179 მატჩი ჩაატარა, 12 — თასის გათამაშებაში და 21 საერთაშორისო მატჩში მიიღო მონაწილეობა. ჯამში სულ 212 მატჩი.

ორჯერ (1951 და 1953 წწ) დაჯილდოვდა ვერცხლის და ვერცხლ (1950 წ.) ბრინჯაოს მედლით. ორჯერ (1950 და 1951 წ.) შედიოდა 33 უძლიერეს ფეხბურთელთა სიაში.

სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მონაწილეობდა ჰელსინკის XV ოლიმპიურ ასპარეზობაში.

1952 წელს მიენიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

2023 წლის 8 თებერვალს თბილისის სპორტულმა საზოგადოებამ ბორის პაიჭაძის სახელობის თბილისის ცენტრალურ სტადიონზე „თბილისი-არენა“ „დინამო“ თბილისის მეკარის ვლადიმერ მარლანიას დაბადებიდან 95-ე წლისთავი აღნიშნა. შეხვედრაზე ბორის პაიჭაძის ძეგლთან შეიკრიბნენ თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელები: რევაზ ძოძუაშვილი, ვლადიმერ გუცაევი, ზორბეგ ებრაღიძე, მანუჩარ მაჩაიძე, ოთარ გაბელია, ნოდარ ხიზანიშვილი და გრიგოლ ცაავა. აგრეთვე, ვლადიმერ მარლანიას თანამემამულენი ოჩამჩირიდან. მისასალმებელი

სიტყვებით გამოვიდნენ; რევაზ ძოძუაშვილი და ვლადიმერ გუცაევი. განსაკუთრებით თბილად მოიგონა თანამემამულე ლორენცო შარანგიაძე.

თბილისის დინამოელებმა მადლობა გადაუხადეს ოჩამჩირელებს და მის ხელმძღვანელს თენგიზ ნორაკიძეს, და შეხვედრის აქტიურ ორგანიზატორებს ლორენცო შარანგიას, თამაზ ჩიქობავას და გივი ჩხეტიას.

დამსწრეები დიდხანს იხსენებდნენ თბილისის „დინამოსა“ და სსრკ ნაკრების მეკარეს ვლადიმერ მარლანიას. გაიხსენეს ავტოკატასტროფის ის ტრაგიკული დღეც, როდესაც დაიღუპა 30 წლის ვლადიმერ მარლანია. მანქანას, რომელსაც თვითონ მართავდა გმირთა მოედანზე ტრავმათა გადაუარა. ეს იყო 1958 წელს.

ამავე დღეს შეკრებილებმა გაიხსენეს და პატივი მიაგეს 2022 წლის 30 დეკემბერს გარდაცვლილი მეგობრის, ლეგენდარული ფეხბურთელის, თბილისის „დინამოსა“ და სსრკ-ს ნაკრების წევრის, ბრაზილიელებთან სსრკ ნაკრების შეხვედრაზე ლეგენდარული პელებს წინააღმდეგ მოთამაშე ვლადიმერ ბარქაიას ხსოვნას.

დიდი მადლობა ყველა თბილისის დინამოელს და თბილისის საზოგადოებას, რომლებიც მონაწილეობდნენ ვლადიმერ (სიომა) ბარქაიას დაკრძალვაში.

რევაზ ძოძუაშვილი, ვლადიმერ გუცაევი, ზორბეგ ებრაღიძე, მანუჩარ მაჩაიძე, ნოდარ ხიზანიშვილი, ოთარ გაბელია, გრიგოლ ცაავა, მერაბ ჟორდანიას, რომან ფიფია (კლუბ „დინამო თბილისის პრეზიდენტი), ვიტალი გულორდავა (დინამო არენას დირექტორი),

რეზო გერგედავა (ლტოლვილთა სამინისტრო), ამირან დოლიძე (ლტოლვილთა სამინისტრო), რუსლან აბაშიძე (აფხაზეთის მთავრობის ხელმძღვანელი), ნოდარ ჩხარტიშვილი (ლტოლვილთა სამინისტრო), ვახტანგ ყოლბაია, გაი გვაზავა, იგორ კოპალიანი (აფხაზეთის ტელევიზიის დირექტორი)

თენგიზ ნორაკიძე, ლორენცო შარანგია, თამაზ ჩიქობავა, ზურაბ ჩიქოვანი, იურა დოჩია, ომარ ყვანია, გივი ჩხეტია, რევაზ ჩხეტია, ოთარ ნურნუშია, რაულ ჯანაშია, ნოდარ კობახიძე, დილარ კემულარია, ნოდარ კემულარია, თამაზ ჩხვირკია, ბესო კონოლაძე, ემზარ თუნგია, ბესო ძიძიგური, ვიტალი ბენდელიანი, მამუკა კვარაცხელია, დავით ძალამიძე, ლევან ლავგილავა, ზაზა არახაშია, ოთარ ჯაშია, ვახტანგ გულუა, დავით ლავგილავა, ანზორ გერგედავა.

თენგიზ ნორაკიძე,
სპორტის ოსტატი ფეხბურთში
2022 წლის 14 ნოემბერი



ხალხში გავიწიო და სხვა

რჩევები

დარდი, სტრესი, მწუხარება თუ კი გინდა აიცილო, მეტი უნდა იხუმრო და მეტი უნდა გაიცინო. ექიმები გვარწმუნებენ, ყური უგდეთ რჩევა-პიარს, ამას ჰქვია ჩვენს ენაზე ღუმელ-სიცილ თერაპია.

ოპოზიცია

თუ ლანძღვა-აქციის გარდა სხვა საქმე შემოგვლიათ, ვეღარ გიმეფლით სალომე, ვერც ხატია და მელია. დეპუტატი რომ ჩხავის და ბღავის, ეტყობა, ასე გამოზრდილია, იგი ვერ ხვდება და ვერც გაიგებს, რას გვასწავლიდა ბრძენი ილია; ტვიცნარიელი ცხვირს მაღლა იწევს, თავმდაბილი კი თავდახრილია.

უნდა

ეს უნდა ვქნათ, ის უნდა ვქნათ, ისმის წარამარა, ეს „უნდა“ ვინ შეასრულოს, ვის აქვს ამის ძალა? ვინ შეაბამს კატას ეფუანს? ეს ვინ დაგაძალათ? თავგებივით გაიუსხენ, ნახეს სორო ბნელი, დაპირება ადვილია, საქმე — ასჯერ ძნელი.

სტრატეგიული პარტნიორი

ალარ უნდა ლაი-ლაი, ვიცით, პარტნიორები ერთმანეთთან უნდა იყვნენ სრულად თანასწორები. თუკი შენ ჩემს ოჯახში ხელი აფათურე და მიბრძანო, დავალება ყველა შემისრულე! ასე გვირჩევეს და გვაძალებს, მოგვინოდებს გიული. ეს რა პარტნიორობაა, თანაც სტრატეგიული?

ვირო მადლიო

რა არ ვქენით, გადავყვებით, სკოლებიც კი გავუხსენით. ვერ ხვდებიან სიკეთეს და ჩვენც ვერაფრით აფუხსენით. ხალხი ამბობს, ინონება ღვთისგან ცოდვა-მადლიო, ასეთ მეზობელს ეტყვიან, გაგიწყნარე შუბლის ძარღვიო. კახელებმა კი იციან, სად არის, ვირო მადლიო?

მერაბ მეტრეველს

მოდის ბაძვით წვერ-ულვაში, რომ მოუშვი „გირჩებრ“, არ გიხდება, შეილებე, ამას ძმურად გირჩევ.

კონკურსი „ტელეყუთი“

ყველა ეკრანზე მუდამ ზის დღეში ათჯერ და მეტად გაუჩერებლად რატრატებს, ჭკუას გვარვიებს კენჭად, პირველი პრიზის მფლობელი, ცინიკოს, ნერვებაშლილი, ყიური ფიქრობს, ნამდვილად, გახდება სამადაშვილი. მეორე პრიზი ვის მივცეთ? - ვინც ყველას შეეცილება, დეკანოძეს ეკუთვნის, უთუოდ, აუცილებლად. მესამე პრიზი ვის ერგოს? აქ დავა მიდის ხშიერი, ვაშაძეს თუ მანჯგალაძეს? აქ კონკურსია ძლიერი, მეტოქე ბევრზე ბევრია. ზოგი ჩანს გაუბედავი, ეს ბოკუჩავა სად არის, რომ ალარა ჩანს, ნეტავი?


შოუმანია

აქეთ შოუ, იქით შოუ, შუა მიდის ჭრელა ჩხოუ. შოუმენმა ცოტამ იცის, თუ ვინ იყო ბერნანდ შოუ. ვანოს შოუს კიდევ დიდხანს ვერავინ შეეცილება, უკბილო ხუმრობებზე, მხოლოდ თავად ეცინებათ. აქეთ შოუ, იქით შოუ, მოდამა ყველგან შოუ, მეგრელებს დე მოუმრავლდეთ, სულგუნი და მაჭვალ ჩხოუ!

მოსა მხარალი

ტიტე სუხუას სსოვნა არა გვყავს პედაგოგი და დიდი მეგობარი

მარადისობას შეუერთდა აფხაზეთიდან დევნილი პედაგოგი, კოლეგა და მეგობარი ტიტე ალექსანდრეს ძე სუხუა.



მისი ცხოვრების გზა მოკლედ ასეთია: ოჩამჩირის რაიონის ახალი კინდლის სკოლის მედალზე დამთავრების შემდეგ დაასრულა დედაუნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და ქართულის მასწავლებლად მუშაობას შეუდგა გულრიფშის რაიონის გერზეულის სკოლაში. მალე პედაგოგად მშობლიურ სკოლაში დაბრუნდა, შემდეგ დიდხანს გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობაში მთავლიტის ხელმძღვანელი იყო.

ტიტე სუხუა პედაგოგიური ოჯახის თვალსაჩინო წევრია: ბაბუა გახლდათ სასულიერო მოძღვარი სენაკში, მამა ალექსანდრე და დედა ლიდა ხოფერია მარტვილის რაიონის კინის სკოლაში ერთად მოღვაწეობდნენ. მამა დიდ სამამულო ომში მოხალისედ წავიდა და ქერჩისთვის ბრძოლაში დაიღუპა.

ძმა ზიგფრიდი მშობლიურ სკოლაში დიდხანს ასწავლიდა ფიზიკა-მათემატიკას, ასევე იყო დირექტორის მოადგილე, ბოლოს - სკოლის დირექტორი, ბრწყინვალე ორგანიზატორი. დევნილობისას თბილისის 167-ე სკოლასთან არსებულ ლტოლვილთა სკოლის დირექტორად მოღვაწეობდა. მეუღლე ნანული შონია კინდელშიც და თბილისშიც წარმატებით ასწავლიდა მათემატიკას. ქალიშვილი ნატო სუხუა კი ჯერ მშობლიურ კინდელში და შემდეგ ტყიბულში — ქართულ ენასა და ლიტერატურას.

საოცარია ბედისწერა: ტიტეს და ზიგფრიდს ჩვენმა გაზეთმა გულთბილად მიულოცა 80 წლის იუბილე, კიდევ ერთი დამთხვევა — სამი თვის შემდეგ ორივე მარადისობას შეუერთდა.

ძალიან გვაკლია იგი ჩვენს კოლეგებს, ჟურნალისტებს, მეგობრებს. ტიტე სუხუა იყო კაცი, რომელიც სხვებზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე საკუთარ თავზე. იყო ქართული სუფრის მშვენიერი. ის მიიზარა თბილისის მინამ, გზა დაასრულა მისი სავალი, გადაიხადა ცხოვრების ვალი, ამით დატოვა ნათელი კვალი. იყავ ნათელში, ჩვენო ტიტე!

ოჯახის, კოლეგების, მეგობრების სახელით „სახალხო განათლება“-ს რედაქცია

გაზეთ „სახალხო განათლება“-ის რედაქცია თანაგრძობას უცხადებს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს ქ-ნ მზია გავგიძეს მეუღლის პაატა დაუშვილის გარდაცვალების გამო.



ვლადიმერ ბარქაია (1937 — 2022) სპორტის ოსტატი.

ჩვენ დავკარგეთ ქართული ფეხბურთის ლეგენდა, „დინამო“ თბილისისა და სსრ კავშირის ნაკრების წევრი. (დაასაფლავეს 2023 წლის 3 იანვარს).

ვიზიარებთ ქართველთა და ოჯახის წევრების მწუხარებას!

შემდეგ ნომერში გაცნობით მასალას ვლადიმერ ბარქაიაზე.

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე
555 596 050
აღმასრ. რედაქტორი: ნათია გურგენიძე
593 422 258
გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თბილისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედაქტორია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიქერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ეკა მამუკაშვილი 599 944 592; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181;
ნათია გურგენიძე 593 422 258; მზია გოგობე 593 208 048; ირმა მეტონია 591 320 705; გერმანე სახანოული 593 022 913;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge
ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N1 (4608)
22 თებერვალი / 2023 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან
ISSN 1987-9113
9 771987 911009